ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
XLVI
MOAMBE

INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2022 TBILISI

უაკ (UDC) 33 (479.22) (051.2)
ს-323

„მოამბე" გამოდის 1995 წლიდან
„MOAMBE" IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 10 ლარი. უცხოელი ავტორებისთვის სტატიის სრული გადასახადი 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;
ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47
ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continiues taking articles according to this requests:
1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. 3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languagues too.
The price of article's publication is one page of Journal 10 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 10 GEL (lari). For foreign authors the full tax of the article is 50 USD equivalent in GEL.

E-mail: temur.babunashvili@mail.ru; **mariizoria@mail.ru;**
Tel: 593 239 958; 593 959 247
www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTICATE #1982)

„მოამბე“
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №46, 2022 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.*

სარედაქციო კოლეგია
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, არნანია თამილა, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გოგოხია რევაზი, გვარამია ვახტანგი, გველესიანი მერაბი, გეჩბაია ბადრი, ელიავა ლია, თურნავა ნათია, იზორია მარინა, კურტანიძე დავითი (აშშ), კვალიაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლობჟანიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მელაძე სერგო, მექვაბიშვილი ელგუჯა, ნარმანია დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკეტლიშვილი მიხეილი (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), სოლოღაშვილი დალი, უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლოიდი, ქეშელაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩაგელიშვილი ლალი, ჩეჩელაშვილი მაია, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანავა ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხელაშვილი იოსები, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერქაიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესბერგერი (ყაზახეთის რესპუბლიკა), გალინა ლოპუშნიაკ (უკრაინა), ზალენიენი ინგა (ესტონეთი), ვდოვენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), გალინა კუზმენკო (უკრაინა), ტადეუშ ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანატოლი შევჩუკი (რუსეთი), იაცეკ სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალეინიკოვა (უკრაინა), ევგენი ჟუკოვი (რუსეთი), მანტაუტას რასკაუსკას (ლიეტუვა), ვიქტორია გრიგალივანაიტე (ლიეტუვა).

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №46, 2022

TEIMURAZ BABUNASVILI - Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doktor of Ekonomic Sciense, President of Georgian Academy of Business Science, Honored citizen of Tbilisi

EDEDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ARNANIA TAMILA, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVARAMIA VAKHTANGI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), SOLOGASHVILI DALI, UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHAGELISHVILI LALI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALEINIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA). MANTAUTAS RASKAUSKAS (LITHUANIA), VIKTORIA GRIGALIVANAITE (LITHUANIA).

შინაარსი

1. ნინო გომართელი 7
კულტურა - ქართული ეროვნული ფასეულობების დაცვის გარანტი
2. ნინო ზაალიშვილი 10
ევროინტეგრაცია - საქართველოს სამომავლო გზა
3. მარინე თოფჩიშვილი 13
მიწავაშლას (ტოპინაბური), როგორც ბუნებრივი პროდუქტის სარგებლიანობა და მნიშვნელობა
4. ეკატერინე მარუაშვილი 17
LINGUISTIC RELATIVITY
5. თორნიკე ჯინჭარაძე 21
რეიტინგული რანჟირებით კომპანიის ფინანსური მონიტორინგის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება და ექსპერიმენტული გამოცდა
6. მაკა კუჭავა 26
საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შედეგები პოსტსაბჭოთა ქვეყნების კონტექსტში
7. მალხაზ ბაბუაშვილი 35
სამედიცინო ლაბორატორიული ანალიზატორების და პროცესების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების გზები
8. გიორგი ასათიანი 40
მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში
9. მარინა იზორია 44
აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბრძოლა უკრაინის გეოპოლიტიკური სივრცისთვის
10. მაია ჩეჩელაშვილი, გიორგი ბექაური 50
კორონავირუსის პანდემიის გავლენა B2B ბაზარზე
11. Гурам Мархулия 55
БЛИЖНИЙ ВОСТОК В ГЕОПОЛИТИКЕ СТРАН И СИРИЙСКИЙ ВОПРОС

CONTENTS

1. NINO GOMARTELI 7
Culture - the guarantor of the protection of Georgia's national values
2. NINO ZAALISHVILI 10
European integration Future way for development of Georgia
3. MARINE TOFCHISHVILI 13
Ground cover (topinaburi) as a natural product Usefulness and importance
4.EKATERINE MARUASHVILI 17
Linguistic relativity
5. TORNIKE JINCHARADZE 21
Development And Experimental Testing Of An Alternative Option For Financial Monitoring Of The Company With A Rating Ranking
6. MAKA KUCHAVA 26
Results of primary health care reforms in Georgia in The Context if post-soviet Countries
7. MALKHAZ BABUASHVILI 35
Ways to improve quality control of medical laboratory analyzers and processes
8. GIORGI ASATIANI 40
Tax burden of population in relation to income tax
9. MARINA IZORIA 44
East and West struggle for the geopolitical space of Ukraine
10. .MAIA CHECHELASHVILI, GIORGI BEKAURI 50
Impact of the Coronavirus Pandemic on the B2B Market
11. GURAM MARKHULIA 55
The Middle East in the geopolitics of countries and the Syrian issue

კულტურა - ქართული ეროვნული ფასეულობების დაცვის გარანტი

ნინო გომართელი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

საკვანძო სიტყვები: კულტურა, ცივილიზაცია, გეოპოლიტიკა, ეროვნული იდენტობა, ევროპა.

შესავალი

თავისუფალი, დემოკრატიული, ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა მრავალასპექტიანი პროცესია. იგი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინების გარდა ითხოვს სახელმწიფოებრიობის იმ მოდელის შექმნას, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იქნება როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი. ქვეყნის ურთულესი და უმძიმესი გეოპოლიტიკური ვითარება მუდმივადშეგვახსენებს, რომ მართალია ვცხოვრობთ ახალ სამყაროში, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის არანაკლებ რთულ პერიოდში. ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები ითხოვს გავერკვეთ რა შეუძლია პატარა ქვეყანას, საჭიროა ქვეყნის სულიერ-პოლიტიკური გამოცდილებისა და პერსპექტივების მუდმივი გააზრებით ღირებულებათა სისტემაში მოყვანა. შემდეგში სწორედ ამ გააზრებაზე იქნება დამოკიდებული, როგორ გადავწყვეტთ ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემებს.

ძირითადი საკითხი

საქართველო თავისი კულტურით ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ცივილიზებული ქვეყანაა. რა გასაკვირია თუ ქართული კულტურის ფენომენზე, მის ბუნებაზე ფიქრი სულ უფრო მეტი დასკვნების შესაძლებლობას გვაძლევს [1,193-194].კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე თანდათან გამოიკვეთა ცივილი-ზაციის განვითარების ორი ცენტრალური რეგიონი - აღმოსავლეთი და დასავლეთი, სადაც ჩამოყალიბდა ცივილიზაციათა თვისებურებანი, რომლითაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მათი განვითარება ახალ ეპოქაში. სწორედ ძველი აღმოსავლეთის ხალხისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა ნანგრევებზე აღმოცენდა ევროპა. საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ქვეყანას, გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო, ურთიერთობა ჰქონდა როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ ცივილიზაციებთან.

საქართველოს ისტორიული და კულტურული განვითარება, პირველ რიგში, მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა. დიდი სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარე ქვეყანა ორი კონტინენტის - ევროპისა და აზიის და, შესაბამისად, ორი დიდი კულტურული სამყაროს - დასავლურისა და აღმოსავლურის - მიჯნაზე იყო განთავსებული. კავკასიის ყელზე მდებარე ქვეყანა ხმელთაშუა ზღვისა და მახლობელი აღმოსავლეთის უდიდესი ცენტრების არეალში იყო მოქცეული. ამის გამო, საქართველო უძველესი დროიდანვე კონტაქტში იყო მრავალ ქვეყანასა და ხალხთან, რომელთათვისაც საქართველო მიმზიდველი იყო და არის, არა მარტო თავისი საინტერესო გეოპოლიტიკური მდებარეობით, არამედ უნიკალური სამიათასწლოვანი კულტურითაც. ჩვენ ერს გააჩნია თავისუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვის, სიცოცხლის, სიხარულის ნიჭი, შემწყნარებლობა, ანუ ყველაფერი ის, რამაც გადაგვარჩინა და მოგვიყვანა, როგორც ცივილიზებული სამყაროსათვის მიმზიდველი

სულიერი ერთობა.

ჩვენ დღეს გვაქვს შესაძლებლობა, რეალურად გავხდეთ დასავლური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი, ამის საწინდარი ჩვენი ძველთაძველი და თავისებური კულტურაა, რომელშიც მოიაზრება განათლება, ლიტერატურა, ხელოვნება. ჩვენი კულტურა არსებითად ევროპული ტიპის ქრისტიანული კულტურაა, საკუთარი ანბანით თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურით, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული რენესანსული იდეებით, უძველესი მრავალხმიანობითა და გალობებით, ჩვენი არქიტექტურით, ჩვენი ხატწერით... ხასიათით, რომლის მთავარი მახასიათებელია სტუმართმოყვარეობა, სიცოცხლისა და სიხარულის ტალანტი... ყველაფერი ეს ერთად კი შეადგენს ჩვენს თვითმყოფადობას, თავისებურებას და სწორედ ამით შეიძლება ვიყოთ მიმზიდველი ევროპისათვის და ზოგადად სხვა სამყაროსათვის [2,18-19]. ქართველი ერი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას საუკუ-ნეთა განმავლობაში ენასა და კულტურაში ახდენდა. ჩვენ ვალდებულნი ვართ, და-ვეყრდნოთ ქვეყნის ძირითად ტენდენციას და გავიაზროთ კულტურა, როგორც ფენომენი, რომელსაც ეროვნული იდენტობისა და ქართული სახელმწიფოს ერთიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენს ცნობიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია საბჭოთა წესწყობილებიდან გადმოყო-ლილი მეთოდოლოგიური აზროვნება. ის გვკარნახობს აზრს, თითქოს ევროპა თავს მოგვახვევს ღირებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს ტრადიციებს. მაგრამ ევროპა უფრთხილდება თავისი ქვეყნის კულტურულ თვითმყოფადობას, აფასებს და პატივს სცემს განსხვავებულობას, თავისებურებას. ამავე დროს, ევროპელობა ბევრ კონკრეტულ რამესაც გულისხმობს და უპირველესყოვლისა - ყოველი მოქალაქის პირად პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. ევროპელობა პიროვნების უფრო დიდ უფლებებსა და პასუხისმგებლობასაც გულისხმობს: ეს არის მოქალაქის აქტიური და ქმედითი ჩართვა ქვეყნის მართვის პროცესში. ბოლო ათწლეულების მუდმივად პოლიტიკურმა შეჯახებებმა გახლიჩია საზოგადოება, დანერგა ჩვენი ტრადიციების საწინააღმდეგო შეუწყნარებლობა, აგრესიულობა, სიძულვილი სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ. ამ თვალსაზრისითაც სასარგებლოა იმის გააზრება, რომ ყოველივე ეს დროებითი მოვლენაა, რომ ჩვენი ტრადიციული ღირებულებები ახლოსაა ევროპულთან, ამიტომ არ უნდა გაგვიჭირდეს ევროპე-იზაციის გზაზე შედგომა, ევროპული, თანამედროვე, ჰუმანური მსოფლმხედვე-ლობის გათავისება, რაც უპირველეს ყოვლისა განსხვავებულის აღიარებას და პატი-ვისცემას გულისხმობს. დღეს უკვე ცხადია, რომ გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ პროცესში გადარჩებიან და განვითარდებიან მხოლოდ ის მცირერიცხოვანი ერები, რომელთაც საუკუნეთა სიღრმეში აქვთ გადგმული ფესვები თავიანთი ენისა და კულტურის სახით. ამ მხრივ საქართველო რჩეულთა რიცხვშია. იმისათვის რომ, თა-ნამედროვე სამყაროში ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურა განვითარდეს და გაღრმავდეს, მას შესაფერისი გარემო სჭირდება. XXI საუკუნეში, როცა კაცობრიობამ საკუთარ თავზე იწვნია ერთპიროვნული მმართველობისა თუ დიქტატურის მძიმე შე-დეგი, ნათელი ხდება, რომ კულტურის განვითარებისათვის ერთადერთი და აუცი-ლებელი გარემო დემოკრატიაა, ანუ თავისუფალ პიროვნებათა შემოქმედებითი ძალე-ბის თავისუფალი რეალიზაციის შესაძლებლობა. [3,121-122]

მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ და ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს დემოკრატია და კულტურა, როგორც ერთმანეთთან შერწყმული და ერთმანეთის გამამდიდრებელი მოვლენები და მათი ერთდროული განვითარება ქვეყნის გამთლიანების, შენებისა და მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების გზაზე მოქმედების სტრატეგიულ პრიორიტეტად გამოაცხადოს.

საქართველოს ახასიათებს ის, რაც სავსებით ბუნებრივია ყველა კულტურული სახელმწიფოსათვის: მას არ შეუძლია იზოლირებულად ცხოვრება. აქტიურ ურთიერთობათა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლით ქვეყანა მუდამ იმაღლებს საკუთარ კულტურულ ფენომენს[1,192].

დასკვნა

დღეს, როდესაც ქართველი ერი იბრძვის, რათა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა თანამეგობრობაში, ქართული კულტურის წარმოჩენას, იმ სპეციფიკის ჩვენებას, არის თუ არა კულტურის სხვა ფორმებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ტიპი, თუ შეიძლება იგი მივაკუთვნოთ ამა თუ იმ ზოგად-კულტურულ ტიპს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მჭედლიშვილი გ. ქართული კულტურის რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება. იხ.: სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო ევროპულ სივრცეში“ თბილისი 2011
2. საქართველოს ევროპული გზა, №3/11/2014
3. გომართელი ნ. დასავლური ცივილიზაცია და საქართველოს მომავალი, თბილისის საერთაშორისო აკადემია, საერთაშორისო კონფერენცია „ეკონომიკა და პოლიტიკა.“
4. გომართელი ნ. ქართული კულტურა - ეროვნული იდენტობის ფენომენი, იხ. : ჟურნ. სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნე აქტუალური პრობლემები, თბილისი 2017

CULTURE - THE GUARANTOR OF THE PROTECTION OF GEORGIA'S NATIONAL VALUES

Resume

Nino Gomarteli

Key words: culture, civilization, geopolitics, national identity, Europe.

Building a free, democratic, unified Georgian state is a multifaceted process. In addition to taking into account generally recognized international norms, it requires the creation of a statehood model that will be on national soil as a result of the development of its own political culture. The most difficult and difficult geopolitical situation of the country constantly reminds us that although we live in a new world, we are in a no less difficult period of human history. The tasks before us require us to find out what a small country is capable of, it is necessary to bring the spiritual and political experience and prospects of the country into a system of values. In the future, this understanding will determine how we deal with the problems we face.

ევროინტეგრაცია - საქართველოს სამომავლო გზა

ნინო ზაალიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაცია, ევროკავშირი, გაფართოება, დემოკრატია, ევროატლანტიკური პოლიტიკა

საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების მრავლსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრას, ვინაიდან სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრა. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებია სრული ინტეგრაცია ევროკავშირში და ნატოში. აღსანიშნავია, რომ უახლესი კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

ევროპული ინტეგრაციის გზა ჩვენი საზოგადოების შეუქცევადი და გააზრებული არჩევანია. შესაბამისად, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია. ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია კომპლექსური პროცესია და ის ჩვენი ცხოვრების თითეულ ეტაპზე ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე აისახება.

ევროპა არის არჩევანი, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ დიდი ხნის წინ გააკეთა, თუმცა მის დასაცავად საუკუნეთა განმავლობაში უწევდა ბრძოლა. ბრძოლა, რომელიც დაკავშირებული იყო ტერიტორიებთან, რელიგიასთან, კულტურასთან, მშობლიურ ენასთან, ევროპა არის არჩევანი განვითარების იმ მოდელის სასარგებლოდ, რომელიც საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის თავისუფლებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, დემოკრატიას, განვითარებას, კეთილდღეობას, მშვიდობასა და სტაბილურობას ნიშნავს.

საქათრველომ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდან მტკიცედ აიღო განვითარების დასავლური კურსი. საგარეო პოლიტიკის ეს არჩევანი ქვეყნისათვის ახალი და მოულოდნელი არ ყოფილა. თუ საქართველოს ძველ და ახალ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ცხადი გახდება, რომ საქართველოსთვის დასავლური ფასეულობები და დასავლეთის ცივილიზაციებთან დაახლოების მცდელობა ყოველთვის ორგანული იყო. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მიზნებია, რომლის განხოლრციელების საფუძველი ასოცირების შეთანხმებაა.

ევროინტეგრაციის გზაზე საქართველო დგამს წარმატებულ ნაბიჯს, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. ევროკომისიამთავისანგარიშშისაქართველოსმიერსავიზორეჟიმისლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განახორციელა. სწორედ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ უკვე მიაღწია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. (2.61)

ევროკავშირთან თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ევროკავშირის დახმარების განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების და დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში და მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ძირითადი პრიორიტეტების განხორიცლების მხარდაჭერას.

საქართველოს–ევროკავშირის ურთიერთობა მაგალითია იმისა, თუ რამდენად მჭიდრო კავშირი შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის. საქართველოსთვის ევროკავშირი წარმოადგენს არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, არამედ იგი საქართველოს განვითარების გზის არჩევანიცაა.

პატარა ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს, მათ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკურ პრიორიტეტებს რეგიონული განზომილება აქვს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის აქცენტი ევროკავშირის რეგიონზეა გადატანილი, რაც მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესების ერთგვარ ასახვას წარმოადგენ. რეგიონული თანამშრომლობის დამყარება და გაღრმავება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების დამახასიათებელი ნიშანი გახდა. რეგიონალიზმი თანაბრად მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ასპექტებს და ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირება საქართველოს განვითარების ძირითადი მიმართულებაა. დღეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს ისეთ სექტორებში, როგორიცაა: „ეკონომიკა, პოლიტიკა, უსაფრთხოება... უსაფრთხოება ევროკავშირთან დაახლოების უდავო პოლიტიკური მნიშვნელობა: უპირველეს ყოვლისა უკავშირდება საქართველოს უსაფრთხოებას პრობლემებს. მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში განვითარება, არა მარტო საქართველოს ეროვნული ინტერესია, არამედ მთელი ცივილური მსოფლიოს პრიორიტეტაცაა. ამ თვალსაზრისით, საქართველოსა და დასავლურ სამყაროს ინტერესების თანხვედრა აშკარაა.

ასოცირების შეთანხმების განხორციელება საქართველოს სრულ მოდირნიზაციას გამოიწვევს, რასაც თავის დადებითი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები ექნება. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში რეალიზება ხელს შეუწყობს მიმზიდველი სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას ქვეყანაში, გაიზრდება მისი, როგორც საერთაშორისო პარტნიორის სანდოობა საერთაშორისო დონეზე. ასოცირების შეთანხმების სრულადამოქმედების შემდეგ ქართველი მწარმოებელებს და ექსპორტიორებს ექნებათ თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, რაც მნიშვნელოვანი სტიმული იქნება საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვისათვის, რაც თავის მხრივ საგრძნობლად დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და კეთილდღეობის საერთო დონის გაუმჯობესებას.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის უკანასკნელი წლების ი ნტენსიურმა და ფართომასშტაბიანმა კონატქტებმა ისეთ ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მხრიდან ევროპული ღირებულებებისა და ევროპული ინტეგრაციის მტკიცე ურთიერთობებზეა დამყარებული. საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია, რაც თავის მხრივ, ეფუძნება ქართველი ხალხის მტკიცე და ურყევ ნებას, გახზდეს ევროპული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი (4.8)

დღეს, როდესაც უკვე შექმნილია და განმტკიცებულია ქართული სახელმწიფო, ქვეყნის წინაშე დგას ახალი ისტორიული ამოცანა: საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავისი საკუთარი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ქვეყანათა თანამეგობრობაში, განვითარებულ მსოფლიოსთფან კულტურული თანამშრომლობისა და ეფექტური

ინტეგრაციის გზით და ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით დაიმკვიდროს ზოგადსაკაცობრიორ ღირებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ზ., ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ. თბ. 2000
2. მანველიძე ქი. ევროკავშირი – გლობალური საერთაშორისო აქტორი, თბ. 2011
3. ჟ. რადვანი, ნ. ბერუჩაშვილი. კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი. თბ. 2011
4. შტეფან ფულე, ევროკავშირი და საქართველო. იხ. საბართველოს ევროპული გზა. 2014

EUROPEAN INTEGRATION FUTURE WAY FOR DEVELOPMENT OF GEORGIA

Nino Zaalishvili,

GTU, Associate Professor

Resume

The signature of the Association Agreement between Georgia and EU has on again highlighted the irreversible aim of Georgian society towards Euro integration. The reforms aim to bring relations with the EU and Georgia closer together during a period of tough socio-economic conditions. Different governments in office have implemented a considerable number of reforms and modernized financial institutions and the civil service sector, thereby harmonizing Georgian legislation with EU regulations in number of fields and making break though steps in the process of the fight against corruption. At the same time, it should be emphasized that all the reforms were strengthened by the will of Georgian people and their aspiration towards the establishment of Democratic governance in their country.

Key words: integration, European Union, enlargement, democracy, Euro-Atlantic policy

მიწავაშლას (ტოპინაბური), როგორც ბუნებრივი პროდუქტის სარგებლიანობა და მნიშვნელობა

მარინე თოფჩიშვილი
სტუ, ასისტ. პროფესორი,
ბიზნეს ადმინისტრირების აკად. დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი რესურსები, უალკოჰოლო სასმელები, ტოპინაბური, ბუნებრივი ნაყენი, სამკურნალო თვისებები.

საქართველოში სწორი სახელმწიფო პოლიტიკით შესაძლებელია ყველა იმ გამოწვევას ვუპასუხოთ, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად დადგა. საჭიროა, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური მაღალი ტექნოლოგიით დამუშავებული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს საერთაშორისო ბაზარზე.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ადამიანური და ბუნებრივი რესურსები იმისათვის, რომ უზრუნველყოს საკმაოდ მაღალი დონის საექსპორტო პოტენციალი, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა.

საქართველოში ჯანდაცვის სისტემა, როგორც ეროვნული ეკონომიკის სოციალური სფერო, წამყვან როლს თამაშობს მოქალაქეების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გამყარებაში. ასევე უზრუნველყოფს მოსახლეობის მომსახურებას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

მსოფლიოში დღითიდღე მატულობს სხვადასხვა დაავადებების მქონე, განსაკუთრებით შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი. თითქმის ყველა დაავადების შემთხვევაში მისაღებია უალკოჰოლო სასმელების მიღება, როგორც ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმისთვის, ასევე დიაბეტით დაავადებულთათვის აუცილებელიც კია სითხის მიღება უალკოჰოლო სასმელის სახით. დიაბეტით დაავადებულთათვის განკუთვნილი უალკოჰოლო სასმელი მომზადებული უნდა იყოს შაქარშემცვლელი ნივთიერების გამოყენებით, როგორიცაა: შაქარინი, ციკლომატი, ასპარტამი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ასპარტამი (სინთეზური შაქრის შემცველი) ყოველმხრივ არის შესწავლილი. ექიმების მიერ ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზე დაასკვნეს, რომ ასპარტამის ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ტვინის სიმსივნეს, ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მოძიებული იქნა ნატურალური მცენარეული შაქრის შემცვლელი მაგ., სტევია, ტოპინაბური და სხვა.

ტოპინაბური იგივე მიწავაშლა, ბალახეული მცენარეა, მისი დასახელება ჩილელი ინდიელების ერთ-ერთი ტომისგან - ტოპინაბოებისგან მომდინარეობს. მათ მიწავაშლა დიდი ოსტატობით მოჰყავდათ. ყაზახები მიწავაშლას ჩინურ კარტოფილს უწოდებენ, რადგან მათთან ეს კულტურა ჩინეთიდან მოხვდა. ტოპინაბური - მიწავაშლა ამერიკიდან ევროპაში მე-17 საუკუნეში შეიტანეს. მე-18 საუკუნეში გავრცელდა ჯერ რუსეთში, შემდეგ საქართველოში. მიწავაშლას იყენებდნენ კოსმეტიკურ საშუალებადაც, რადგან იგი კარგ ეფექტს იძლევა ნაოჭებთან ბრძოლაში. დიაბეტით დაავადებულებს ყოველთვის ურჩევნდნენ მიწავაშლას მიღებას, რადგან იგი ორგანიზმში ინსულინის მოვალეობას ასრულებს - შაქრის აქტიური დამშლელია.

მიწავაშლას - ტოპინაბურის შემადგენლობა გამოირჩევა მასში შემავალი მინერალებისა და ვიტამინების მრავალფეროვნებით. რკინის შემცველობით საგრძნობლად უსწრებს სტაფილოს, თალგამს, ჭარხალს, გარდა ამისა, ის შეიცავს: კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, ფთორს, ქრომს და სხვა მინერალებს. ტოპინაბური შეიცავს უჯრედისს, პექტინებს, ორგანულ მჟავებს, ცხიმებს, ნახშირწყლებსა და ამინომჟავებს (არგინინი, ვალინილიზინი, ლეიცინი), ასევე ვიტამინებს: B1, B2, B6, C, PP-სა და კაროტინინოიდებს. 1 კგ მიწავაშლაში მოიპოვება 60-70 მილიგრამი კაროტინი. მას გააჩნია ბევრი სამკურნალო და სასარგებლო თვისება. მის ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებას კი მის ბოლქვებში არსებული ინსულინი წარმოადგენს, რომელიც ინსულინის ბუნებრივი ანალოგია. ამიტომ იგი შეუცვლელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

საქართველოში მიწავაშლა - ტოპინაბური თითქმის ყველა კუთხეში ხარობს. იგი კარტოფილის მსგავსი მცენარეა და ფორმითაც წააგავს. სიმაღლით 2 მეტრამდე იზრდება, ხოლო მისი ნაყოფი ტუბერის ანუ ბოლქვის სახით მწიფდება. მისი საკვები ღირებულება მეტად მაღალია. მას მიირთმევენ როგორც შემწვარს, ასევე მოხარშულს, თუმცა უმი ნაყოფის კვებითი ღირებულება ყველაზე მაღალია. მცენარე ძალიან ბევრ ვიტამინს შეიცავს და საუკეთესოა სხვადასხვა დაავადების დროს: ჰიპერტონიის, პოლიართრიტის, ღვიძლის დაავადების საწინააღმდეგოდ. მიწავაშლას ორგანიზმიდან მეტად სწრაფად გამოაქვს წიდები და მარილები. ის სასარგებლოა ცხოველებისათვის. მისი ფოთლები სასილოსოდაც გამოიყენება, ხოლო გადაუმუშავებელ ბოლქვებს შინაურ ცხოველებს აჭმევენ.

ტოპინაბურიდან (მიწავაშლადან) მიღებულია შაქრის შემცველი, რომელსაც არა აქვს სპეციფიკური სუნი, ფერი, გემო. შესწავლილია მისი აღების და შენახვის პირობები, და მუშავებულია შაქარშემცველის მიღების ტექნოლოგია. ყურადღება გამახვილებულია ნატურალური შაქრის შემცველის გამოყენებით დაბალკალორიული უალკოჰოლო სასმელის და საკვები პროდუქტის დამზადებაზე, კვების ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ხანგრძლივ ცხოვრებაზე და მის აქტიურ მოქმედებაზე.

ამიტომ უნდა შეიქმნას მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავებული ჯანსაღი საკვები. როგორც ვიცით, კვების რაციონში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ნახშირწყლების რაოდენობა, რაც იწვევს გულსისხლძარღვთა დაავადებებს, შაქრიან დიაბეტს და წონის მატებას. სხვა კვების პროდუქტებთან შედარებით შაქარი მდიდარია ნახშირწყლებით.

უცხოეთის მრავალ ქვეყანაში შემცირებულია შაქარზე მოთხოვნა, ამიტომ ის საწარმოები, რომლებიც ამზადებენ უალკოჰოლო სასმელებს, იყენებენ შაქრის შემცვლელ ნივთიერებას. დამატკბობელ ნივთიერებად გამოყენებულია ორი სახის დამატკბობელი: ხელოვნური და ნატურალური. ნატურალური არის მცენარეული წარმოშობის გლუკოზო-ფრუქტოზული სიროფი, ხოლო ხელოვნური - ასპარტამი, სახარინი და სხვა.

ლიტერატურული მონაცემებით დიაბეტით დაავადებული ადამიანების 1 კგ წონაზე შეიძლება მიღებულ იქნეს 0,5-1,2 გ. ფრუქტოზა, როგორც ყოველდღიური საკვები კომპონენტი საკვებში. ფრუქტოზის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ შეიძლება ის ჯანმრთელმა ადამიანმაც მიიღოს. ასევე საკმაოდ გავრცელებულია

შაქრის შემცველი ტოპინაბური...

ტოპინაბურის დამუშავება ხდება ორი მეთოდით:

1. მიღებული ტოპინაბურის ბოლქვები დახარისხდება, გაირეცხება, დაქუცმაცდება და წნეხის გამოყენებით მიღებული იქნება წვენი. წვენის გამოსავლიანობა მერყეობს 55-60%-ში.

2. ტოპინაბურის დამუშავება მოხდება ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, მხოლოდ გამოწნეხვის ნაცვლად წვენი მიღებული იქნება დიფუზიის მეთოდით. ტემპერატურა 75-800C, დიფუზია მიმდინარეობდა 30-35 სთ-ის განმავლობაში.

ფრუქტოზის სუფთა სახით მისაღებად საჭიროა ფრუქტოზის გამოლექვა კალციუმის ჟანგით 2-80C. მიღებული ფრუქტოზკალციუმის ნალექი გამოიყოფა ფოსფორმჟავით ან CO2-თი, უხსნადი ნალექი იფილტრება. მიღებული სუფთა ფრუქტოზა იონშემცვლელით გაიწმინდება, ბოლოს სუფთა ფრუქტოზა კონცენტრირდება ვაკუუმით.

ტოპინაბური (მიწავაშლა) არის კარგი ნედლეული ფრუქტოზის მისაღებად, რომელსაც აქვს pH-4,5, არის თაფლის მაგვარი და შეიძლება გამოყენებული იქნას დიეტური და დიაბეტური სასმელების დასამზადებლად.

დასკვნა

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ადამიანური და ბუნებრივი რესურსები იმისათვის, რომ უზრუნველყოს საკმაოდ მაღალი დონის საექსპორტო პოტენციალი, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა.

მოქალქეების ჯანმრთელობის შენარჩუნება და დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, რათა უზრუნველყოს საკვებ პროდუქტებში და მედიკამენტებში ბუნებრივი რესურსის გამოყენება. ერთ-ერთი ასეთი ბუნებრივი პროდუქტი არის ტოპინაბური, იგივე მიწავაშლა, რომლის ათვისება და გამოყენება საკვებ პროდუქტებში ბევრად გააუმჯობესებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციების კრებული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969.

2. თოფჩიშვილი მ., „საქართველოში უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბიზნესის განვითარების ასპექტები“ (მონოგრაფია), გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2018.

3. მიწავაშლა - თესვა-დარგვა, მოვლა, მოყვანა, გამოყენება. https://khasaia.wordpress.com/2017/12/30/მიწავაშლა-თესვა-დარგვა/#more-4601

4. მიწავაშლა - დაუფასებელი საქართველოში და შეუფასებელი მსოფლიოში https://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/33413-mitsavashla-daufasebeli-saqarthveloshi-da-sheufasebeli-msoflioshi.html

აბსტრაქტი

ჯერ კიდევ ცივილიზაციის დასაწყისში ბუნებრივი პროდუქტების გამოყენებით დამზადებული უალკოჰოლო სასმელები გამოიყენებოდა როგორც ბუნებრივი სამკურნალო საშუალება, რომლის მეცნიერული მოხმარებით მრავალი სნეულება იკურნებოდა და ხშირად სასწაულის მოხდენაც კი შეეძლო, სადაც ფარმაკოლოგიური საშუალებები უძლური იყო.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, როგორც მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროებით, ასევე ბუნებრივი საკვები მცენარეებით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია უალკოჰოლო სასმელებში სამკურნალო ნაყენის მოსამზადებლად.

საქართველოს ბუნებრივი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის უალკოჰოლო სასმელები, რომელიც კონკურენციას გაუწევს საზღვარგარეთიდან შემოტანილ, ძვირადღირებულ კონცენტრატებზე დამზადებულ უალკოჰოლო სასმელებს.

სპეციალური დანიშნულების სასმელები, გარდა წყურვილის მოკვლის უნარისა და სასიამოვნო გემოვნური თვისებებისა, ხასიათდება გარკვეული ფიზიოლოგიური თვისებებით, რის გამოც მათი დამზადება წარმოებს გარკვეული მიზნებისთვის, ან როგორც პროფილაქტიკური საშუალება გარკვეული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, ან კონკრეტული ფიზიოლოგიური ეფექტის მისაღებად.

GROUND COVER (TOPINABURI) AS A NATURAL PRODUCT USEFULNESS AND IMPORTANCE

Marine Topchishvili – Assistant Professor of GTU
Doctor of Business Administration Academy

Abstract

At the beginning of civilization, the non-alcoholic beverages made with natural products were used as a natural remedy. They were used scientifically in order to cure many sicknesses and quite often when pharmacological means were ineffective, they were able to perform miracles.

Georgia is rich in natural resources. The country owns both numerous mineral sources and natural food plants, which can be used for preparing the remedies in non-alcoholic beverages.

Georgia's natural climatic conditions allow us to produce high quality and wide range of non-alcoholic beverages. They are able to compete with foreign non-alcoholic beverages made on expensive concentrates manufactured from abroad.

Special drinks, together with the ability to kill thirst and pleasant tasteful qualities are characterized by certain physiological properties. That is the reason they have being prepared for certain purposes as well have been used as a prophylactic way avoiding certain diseases or obtaining a specific physiological effect.

Keywords: Natural Resources, Non-alcoholic Beverages, Natural Beverage, Medicinal Properties.

LINGUISTIC RELATIVITY

Ekaterine Maruashvili
Georgian State teaching university
Of physical education and sport
Affiliated professor
Doctor of Philology

The hypothesis of linguistic relativity, also known as the Sapir–Whorf hypothesis /səˌpɪər ˈwɔːrf/, the Whorf hypothesis, or Whorfian's, is a principle suggesting that the structure of a language affects its speakers› worldview or cognition, and thus people›s perceptions are relative to their spoken language. Linguistic relativity has been understood in many different, often contradictory ways throughout its history. The idea is often stated in two forms: the strong hypothesis, now referred to as linguistic determinism, was held by some of the early linguists before World War II, while the weak hypothesis is mostly held by modern linguists. The strong version, or linguistic determinism, says that language determines thought and that linguistic categories limit and determine cognitive categories. This version is generally agreed to be false by modern linguists. The weak version says that linguistic categories and usage only influence thought and decisions. Research on weaker forms has produced positive empirical evidence for a relationship. The term «Sapir–Whorf hypothesis» is considered a misnomer by linguists for several reasons: Edward Sapir and Benjamin Lee Whorf never co-authored any works, and never stated their ideas in terms of a hypothesis. The distinction between a weak and a strong version of this hypothesis is also a later development; Sapir and Whorf never set up such a dichotomy, although often their writings and their views of this relativity principle are phrased in stronger or weaker terms. The principle of linguistic relativity and the relationship between language and thought has also received attention in varying academic fields from philosophy to psychology and anthropology, and it has also inspired and colored works of fiction and the invention of constructed languages. The idea was first clearly expressed by 19th-century thinkers such as Wilhelm von Humboldt and Johann Gottfried Herder, who saw language as the expression of the spirit of a nation. Members of the early 20th-century school of American anthropology headed by Franz Boas and Edward Sapir also embraced forms of the idea to a certain extent, including in a 1928 meeting of the Linguistic Society of America, but Sapir in particular, wrote more often against than in favor of anything like linguistic determinism. Sapir›s student, Benjamin Lee Whorf, came to be seen as the primary proponent as a result of his published observations of how he perceived linguistic differences to have consequences in human cognition and behavior. Harry Hojer, another of Sapir›s students, introduced the term «Sapir–Whorf hypothesis», even though the two scholars never formally advanced any such hypothesis. A strong version of relativist theory was developed from the late 1920s by the German linguist Leo Westerberg. Whorf›s principle of linguistic relativity was reformulated as a testable hypothesis by Roger Brown and Eric Lenneberg who conducted experiments designed to find out whether color perception varies between speakers of languages that classified colors differently. As the study of the universal nature of human language and cognition came into focus in the 1960s the idea of linguistic relativity fell out of favor among linguists. From the late 1980s, a new school of linguistic relativity scholars has examined the effects of differences in linguistic categorization on cognition, finding broad support for non-deterministic versions of the hypothesis in experimental contexts. Some effects of linguistic relativity have been shown in several semantic domains, although they are generally weak.

Currently, a balanced view of linguistic relativity is espoused by most linguists holding that language influences certain kinds of cognitive processes in non-trivial ways, but that other processes are better seen as arising from connectionist factors. Research is focused on exploring the ways and extent to which language influences thought. The idea that language and thought are intertwined is ancient. In his dialogue Cratylus, Plato explores the idea that conceptions of reality, such as Heraclitean flux, are embedded in language. But Plato has been read as arguing against sophist thinkers such as Gorgias of Leontini, who held that the physical world cannot be experienced except through language; this made the question of truth dependent on aesthetic preferences or functional consequences. Plato may have held instead that the world consisted of eternal ideas and that language should reflect these ideas as accurately as possible. Nevertheless, Plato›s Seventh Letter claims that ultimate truth is inexpressible in words. Following Plato, St. Augustine, for example, held the view that language was merely labels applied to already existing concepts. This view remained prevalent throughout the Middle Ages. Roger Bacon held the opinion that language was but a veil covering up eternal truths, hiding them from human experience. For Immanuel Kant, language was but one of several tools used by humans to experience the world. More than any linguist, Benjamin Lee Whorf has become associated with what he called the «linguistic relativity principle». Studying Native American languages, he attempted to account for the ways in which grammatical systems and language-use differences affected perception. Whorf›s opinions regarding the nature of the relation between language and thought remain under contention. However, a version of theory holds some «merit,» for example, «different words mean different things in different languages; not every word in every language has a one-to-one exact translation in a different language "Critics such as Lenneberg, Black, and pinker attribute to Whorf a strong linguistic determinism, while Lucy, Silverstein and Levinson point to Whorf›s explicit rejections of determinism, and where he contends that translation and commensuration are possible. Detractors such as Lenneberg, Chomsky and Pinker criticized him for insufficient clarity in his description of how language influences thought, and for not proving his conjectures. Most of his arguments were in the form of anecdotes and speculations that served as attempts to show how «exotic» grammatical traits were connected to what were apparently equally exotic worlds of thought. In Whorf›s words: We dissect nature along lines laid down by our native language. The categories and types that we isolate from the world of phenomena we do not find there because they stare every observer in the face; on the contrary, the world is presented in a kaleidoscope flux of impressions which has to be organized by our minds—and this means largely by the linguistic systems of our minds. We cut nature up, organize it into concepts, and ascribe significances as we do, largely because we are parties to an agreement to organize it in this way—an agreement that holds throughout our speech community and is codified in the patterns of our language [...] all observers are not led by the same physical evidence to the same picture of the universe, unless their linguistic backgrounds are similar, or can in some way be calibrated. Among Whorf›s best-known examples of linguistic relativity are instances where an indigenous language has several terms for a concept that is only described with one word in European languages (Whorf used the acronym SAE «Standard Average European» to allude to the rather similar grammatical structures of the well-studied European languages in contrast to the greater diversity of less-studied languages). One of Whorf›s examples was the supposedly large number of words for ‹snow› in the Inuit language, an example which later was contested as a misrepresentation. Another is the Hopi language›s words for water, one indicating drinking water in a container and another indicating a natural body of water. These examples of polysemy served the double purpose of showing that indigenous languages sometimes made more fine-grained semantic distinctions than European languages and that direct translation between two languages, even of seemingly basic

concepts such as snow or water, is not always possible. Another example is from Whorf›s experience as a chemical engineer working for an insurance company as a fire inspector. While inspecting a chemical plant he observed that the plant had two storage rooms for gasoline barrels, one for the full barrels and one for the empty ones. He further noticed that while no employees smoked cigarettes in the room for full barrels, no-one minded smoking in the room with empty barrels, although this was potentially much more dangerous because of the highly flammable vapors still in the barrels. He concluded that the use of the word empty in connection to the barrels had led the workers to unconsciously regard them as harmless, although consciously they were probably aware of the risk of explosion. This example was later criticized by Lenneberg as not actually demonstrating causality between the use of the word empty and the action of smoking, but instead was an example of circular reasoning. Pinker in The Language Instinct ridiculed this example, claiming that this was a failing of human insight rather than language. Whorf›s most elaborate argument for linguistic relativity regarded what he believed to be a fundamental difference in the understanding of time as a conceptual category among the Hopi. He argued that in contrast to English and other SAE languages, Hopi does not treat the flow of time as a sequence of distinct, countable instances, like «three days» or «five years,» but rather as a single process and that consequently it has no nouns referring to units of time as SAE speakers understand them. He proposed that this view of time was fundamental to Hopi culture and explained certain Hopi behavioral patterns. Ekkehart Malotki later claimed that he had found no evidence of Whorf›s claims in 1980›s era speakers, nor in historical documents dating back to the arrival of Europeans. Malotki used evidence from archaeological data, calendars, historical documents, and modern speech; he concluded that there was no evidence that Hopi conceptualize time in the way Whorf suggested. Universalist scholars such as Pinker often see Malotki›s study as a final refutation of Whorf›s claim about Hopi, whereas relativist scholars such as Lucy and Penny Lee criticized Malotki›s study for mischaracterizing Whorf›s claims and for forcing Hopi grammar into a model of analysis that doesn›t fit the data. Whorf›s argument about Hopi speakers' conceptualization about time is an example of the structure-centered approach to research into linguistic relativity, which Lucy identified as one of three main strands of research in the field. The «structure-centered» approach starts with a language›s structural peculiarity and examines its possible ramifications for thought and behavior. The defining example is Whorf›s observation of discrepancies between the grammar of time expressions in Hopi and English. More recent research in this vein is Lucy›s research describing how usage of the categories of grammatical number and of numeral classifiers in the Mayan language Yucatec result in Mayan speakers classifying objects according to material rather than to shape as preferred by English speakers. However, philosophers including Donald Davidson and Jason Josephson Storm have argued that Whorf›s Hopi examples are self-refuting, as Whorf had to translate Hopi terms into English in order to explain how they are untranslatable. The publication of the 1996 anthology Rethinking Linguistic Relativity edited by Gumperz and Levinson began a new period of linguistic relativity studies that focused on cognitive and social aspects. The book included studies on linguistic relativity and universalist traditions. Levinson documented significant linguistic relativity effects in the different linguistic conceptualization of spatial categories in different languages. For example, men speaking the Guugu Yimithirr language in Queensland gave accurate navigation instructions using a compass-like system of north, south, east and west, along with a hand gesture pointing to the starting direction. Lucy defines this approach as "domain-centered" because researchers select a semantic domain and compare it across linguistic and cultural groups. Space is another semantic domain that has proven fruitful for linguistic relativity studies. Spatial categories vary greatly across languages. Speakers rely on the linguistic conceptualization of space in performing many ordinary tasks. Levinson and others

reported three basic spatial categorizations. While many languages use combinations of them, some languages exhibit only one type and related behaviors. For example, Yimithirr only uses absolute directions when describing spatial relations — the position of everything is described by using the cardinal directions. Speakers define a location as «north of the house», while an English speaker may use relative positions, saying «in front of the house» or «to the left of the house». Separate studies by Bowerman and Slobin analyzed the role of language in cognitive processes. Bowerman showed that certain cognitive processes did not use language to any significant extent and therefore could not be subject to linguistic relativity. Slobin described another kind of cognitive process that he named «thinking for speaking» — the kind of process in which perceptional data and other kinds of prelinguistic cognition are translated into linguistic terms for communication. [clarification needed] These, Slobin argues, are the kinds of cognitive process that are at the root of linguistic relativity.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kennison, Shelia (2013). Introduction to language development (1 ed.). Los Angeles: Sage. ISBN 978-1412996068.
2. Boroditsky, Lera; Liberman, Mark (13–23 December 2010). «For and Against Linguistic Relativity». The Economist. The Economist Newspaper Limited. Archived from the original on 15 February 2012. Retrieved 19 September 2019. (a debate between university professors)
3. Robert L. Miller the Linguistic Relativity Principle and Humboldtian Ethnolinguistics.

რეზიუმე

ელინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც საპირ-ვორფის ჰიპოთეზა, უორფის ჰიპოთეზა, ან ვორფიანის ჰიპოთეზა, არის პრინციპი, რომელიც ვარაუდობს, რომ ენის სტრუქტურა გავლენას ახდენს მისი მომხსენებელთა მსოფლმხედველობაზეანშემეცნებაზედა,შესაბამისად,არისხალხის მიერ მათი ნათესაური აღქმა. მათ სალაპარაკო ენაზე. ენობრივი ფარდობითობა მრავალჯერ განსხვავებულად, ხშირად წინააღმდეგობრივი გზით იქნა გაგებული მისი ისტორიის განმავლობაში. იდეა ხშირად გამოითქმის ორი ფორმით: ძლიერი ჰიპოთეზა, რომელსაც ახლა ლინგვისტურ დეტერმინიზმს უწოდებენ.

რეიტინგული რანჟირებით კომპანიის ფინანსური მონიტორინგის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება და ექსპერიმენტული გამოცდა

თორნიკე ჯინჭარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მონიტორინგი; რეიტინგული რანჟირება; ქულობრივი შეფასება; რეიტინგის კლასი.

შესავალი

ტერმინი „მონიტორინგი“ კონტროლის, შემოწმების, ექსპერტიზის, ხშირად კი, აუდიტის და ანალიზის სინონიმადაც გამოიყენება. ჩვენი აზრით, უფრო უპრიანია ეს ტერმინი ფინანსური ანალიზის სინონიმად გამოიყენებოდეს, რადგანაც ერთიც და მეორეც, კომპანიის ფინანსურ საქმიანობის ფართო და ღრმა შესწავლას მოიაზრებს.

დღეს ბიზნეს-კომპანიებში ფინანსური ანალიზი ანუ მონიტორინგი სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება. ეს მეთოდებია: ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი, მეცნიერ ალტმანის Z-ანგარიშის მეთოდი, მეცნიერ ფულმერის მეთოდი და სხვები. არცერთი დასახელებული ეს მეთოდი სრულყოფილი არ არის და ისინი სხვადასხვა შედეგს იძლევიან. მეცნიერები აგრძელებენ მუშაობას ახალი მეთოდის შემუშავებაზე. ერთ-ერთი ასეთი არის რეიტინგული რანჟირებით ფინანსური მონიტორინგის მეთოდი. მოცემულ სტატიაში ამ მეთოდზე გვექნება საუბარი.

ძირითადი ნაწილი

მონიტორინგის არც ეს მეთოდი არ არის ახალი და თანაც უნაკლო. იგი 90-იანი წლების ბოლოს შეიქმნა და მრავალი მეცნიერის მიერ იქნა გაკრიტიკებული. მის ნაკლად აღიქვამენ ყველა იმ ფაქტორთა მიგნების სიძნლეს, რომელთა მიხედვით უნდა მიეცეს კომპანიას რეიტინგი, ანუ კლასი. მართალია, ეს პროცესი ძნელია, მით უფრო თუ კომ-პანიის პროდუქცია ბაზარზე ახალი გამოჩენილია და მოსახლეობისთვის უცნობია, მაგრამ, კომპანიებს შეუძლიათ ამ საქმეში ბიზნეს-კონსულტანტები დაიხმარონ.

ვიდრე გადავიდოდეთ ფინანსურ მონიტორინგში კომპანიის რეიტინგის ჩართვის სიკეთეებზე, მოკლედ დავახასიათოთ მისი შინაარსი.

კომპანიას რეიტინგი შეიძლება მიეცეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ეს დამოკი-დებულია იმაზე, თუ რა კუთხით გვინდა მისი წარმოჩენა. მაგალითად, თუ რამდენად მობილურია კომპანია, ეს გამოჩნდება ახალ ბაზრებზე მისი გასვლის სისწრაფით, თუ რამდენად აუწყობს ფეხს IT-ტექნოლოგიებს, ეს გამოჩნდება „ციფრულ“ ვაჭრობაზე მისი გადასვლით და აგრეთვე, საქმიანობაში IT-ტექნოლოგიების მასიური გამოყენებით და ა. შ. ნებისმიერ შემთხვევაში კომპანიას რეიტინგი ეძლევა ნორმატივებთან ან სხვა კომპანიებთან შედარებით. რეიტინგი შეიძლება მათ ნომრებით (პირველი, მეორე და ა. შ.) მიენიჭოთ, და, შეიძლება ქულებით (5 ქულა, 10 ქულა, 20 ქულა და ა. შ.). ქულობრივი სისტემის დროს კომპანიების რანჟირება

5-კლასად ხდება. უმაღლესი, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე [1. გვ. 379].

ქულები საწარმოთა კლასების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

უმაღლესი კლასი - 57-70 ქულა (ფინანსურად მყარი საწარმოა).

პირველი კლასი - 47-56 ქულა (რისკის ზონაშია, უჭირს ფინანსურად).

მეორე კლასი - 36-46 ქულა (კრიზისშია).

მესამე კლასი - 25-35 ქულა (გადახდისუუნაროა).

მეოთხე კლასი - 20-24 ქულა (გაკოტრების პირასაა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქულებს საწარმოებს ანიჭებენ რაღაცა ამორჩეული ნიშნის ან ნიშნების (ფაქტორების) მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, რადგან ჩვენ ორი კომპანიის: სს „ქართული ლუდის კომპანიის და შპს „ლგ გრუპ"-ის ფინანსურ მონიტორინგს ვახორციელებთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მათი პროდუქციის ხარისხი, ან მათი ინოვაციურობა, ან საერთაშორისო ბაზრებში ჩართულობა, არამედ, მხოლოდ ის ასპექტები, რომლებიც რამდენადმე გვიხასიათებენ მათ ფინანსურ სტაბილურობას. ეს ასპექტები ჩვენ უკვე გამოვკვეთეთ ორივე კომპანიისთვის, როცა მათ ვუანგარიშეთ სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ვერ დავაჯამეთ, რადგან ერთი განზომილება არ ჰქონდათ (მაგალითად, საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტები დღეებში იყო გამოხატული, ლიკვიდობის კოეფიციენტები - პროცენტებში და ა. შ.). მოცემულ სტატიაში შეგვიძლია ჩვენ ამოვარჩიეთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფინანსური კოეფიციენტები, რომელთა ნორმატივებიც ცნობილია მსოფლიო დონეზე, და, ამ ნორმატივთან „სიახლოვე-სიშორის" კრიტერიუმით მივანიჭოთ მათ 0-დან 4 ქულამდე.

კოეფიციენტების ასეთ რეპრეზენტატულ ამონარჩევში მოხვდნენ:

1. საქმიანი აქტივობიდან - დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი.
2. ლიკვიდობის სამივე კოეფიციენტი.
3. ლევერიჯის (ვალის დაფარვის) კოეფიციენტები.
4. რენტაბელობის კოეფიციენტები.

ქვემოთ წარმოდგენილი გვაქვს ცხრილები, რომლებშიც კვლევაში მოხვედრილი თითოეული საწარმოს ეს კოეფიციენტები შევუდარეთ მათზე დადგენილ ნორმატივებს და ამის მიხედვით მივანიჭეთ მათ ქულები. ასეთი შეფასებით სს „ქართული ლუდის კომპანიას" დაუგროვდა 23 ქულა და მოხვდა მეოთხე რეიტინგულ კლასში, ხოლო შპს „ლგ გრუპს" დაუგროვდა 25 ქულა და მოხვდა მესამე რეიტინგულ კლასში.

ცხრილი 1

სს „ქართული ლუდის კომპანიის" ქულობრივი რეიტინგი ნორმატივებთან მისი ფინანსური კოეფიციენტების შესადარისობის მიხედვით

	ფაქტიური მდგომარეობა 2020 წელს	ნორმატივი	ნორმიდან გადახრა (+, -)	მინიჭებული ქულა (0-4-ის ფარგლებში)	რეიტინგი
I. საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები:					
დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა	67 დღე	60 დღე	+7 დღე	2 ქულა	_
II. ლიკვიდობის კოეფიციენტები:					
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	2,0	2,0	-	4 ქულა	-
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1,25	0,20	+1,05	4 ქულა	-

აბსოლუტური ლიკვი-დობის კოეფიციენტი	0,08	0,3	-0,22	1 ქულა	-
III. ლევერიჯის (ვალის) დაფარვის კოეფიციენტები:					
მთლიანი ვალის დაფარვის კოეფიციენტი	1,8	2,0	-0,2	3 ქულა	-
ნასესხი კაპიტალის კოეფიციენტი	0,54	0,50	+0,04	3 ქულა	-
ავტონომიის კოეფიციენტი	0,46	0,50	-0,04	3 ქულა	-
IV. რენტაბელობის კოეფიციენტები:					
აქტივების რენტაბელობა	0,26	0,25	+0,01	3 ქულა	-
ბრუნვის რენტაბელობა	0	0,15	-	0 ქულა	-
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა	0	0,1-0,15	-	0 ქულა	-
				23 ქულა	მეოთხე კლასი

წყარო: შედგენილია ჩვენს მიერ სს „ქართული ლუდის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით

ცხრილი 2
შპს „ლგ გრუპ“-ს ქულობრივი რეიტინგი ნორმატივებთან მისი ფინანსური კოეფიციენტების შესადარისობის მიხედვით

	ფაქტიური მდგომარეობა 2020 წელს	ნორმატივი	ნორმიდან გადახრა (+, -)	მინიჭებული ქულა (0-4-ის ფარგლებში)	რეიტინგი
I. საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები:					
დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა	97 დღე	60 დღე	+37 დღე	1 ქულა	--
II. ლიკვიდობის კოეფიციენტები:					
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1,5	2,0	-0,5	3 ქულა	-
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0,6	0,20	+0,4	4 ქულა	-
აბსოლუტური ლიკვი-დობის კოეფიციენტი	0,16	0,3	-0,14	2 ქულა	-
III. ლევერიჯის (ვალის) დაფარვის კოეფიციენტები:					
მთლიანი ვალის დაფარვის კოეფიციენტი	1,8	2,0	-0,02	3 ქულა	-
ნასესხი კაპიტალის კოეფიციენტი	0,56	0,50	+0,06	3 ქულა	-
ავტონომიის კოეფიციენტი	0,44	0,50	-0,06	3 ქულა	-
IV. რენტაბელობის კოეფიციენტები:					
აქტივების რენტაბელობა	0,04	0,25	-0,21	2 ქულა	-
ბრუნვის რენტაბელობა	0,09	0,15	-0,06	2 ქულა	-
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა	0,07	0,1-0,15	-0,08	2 ქულა	-
				25 ქულა	მესამე კლასი

წყარო: შედგენილია ჩვენს მიერ კომპანია „ლგ გრუპის“ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით

როგორც სტატიის წინა ნაწილში აღვნიშნეთ, მესამე რეიტინგული კლასის საწარმოები გადახდისუუნარონი არიან, ხოლო მეოთხე კლასის საწარმოები გაკოტრების პირას არიან.

სს „ქართული ლუდის კომპანიას“ რომ გაკოტრების ალბათობა უდგას, ეს ჩვენ ადრე ჩატარებულმა ფულმერის მეთოდით მონიტორინგმაც დაგვიდასტურა. ამავე მეთოდით დაგვიდასტურდა შპს „ლგ გრუპის“ გაკოტრების საშიშროებაც (თუმცა, უფრო ნაკლები ვარაუდით). ალტმანის მეთოდით მონიტორინგისას ეს უკანასკნელი ვარაუდი არ დადასტურდა. რეიტინგული რანჟირების მეთოდი გვიდასტურებს, რომ სს „ქართული ლუდის კომპანია“ მართლაც გაკოტრების პირასაა, ხოლო შპს „ლგ გრუპი“ ჯერჯერობით გადახდისუუნაროა და თუ რაიმე ღონისძიება არ განახორციელა, მასაც მოელის გაკოტრება.

დასკვნა

მაშასადამე, კომპანიების ქულობრივი რეიტინგის მეთოდი აშკარად კარგია მონიტორინგის ალტმანის და ფულმერის მეთოდების შედეგების შესამოწმებლად, მაგრამ დამოუკიდებლად მისი გამოყენება არ გაგვიჩენს სრულყოფილების განცდას. ამიტომ ჩვენი რეკომენდაცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოვიყენოთ მონიტორინგის სხვა მეთოდების შედეგების შესამოწმებლად, ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ ეს სამუშაო ჩავატარეთ, და, სწორედ რეიტინგული რანჟირებით დავადასტურეთ საქართველოს ორი კომპანიის მიმართ ვ. ფულმერის მეთოდით მონიტორინგის შედეგის სისწორე, ხოლო ალტმანის მეთოდის გარკვეული ცდომილება კომპანია „ლგ გრუპ“-თან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Лоуга Д. Прещбразование прудприятий – американский опыт. М., 2009.
2. სს „ქართული ლუდის კომპანიის წლიური ანაგრიშგება.
3. შპს „ლგ გრუპ“-ის წლიური ანგარიშგება.

რეზიუმე

სტატიაში - „რეიტინგული რანჟირებით კომპანიის ფინანსური მონიტორინგის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება და ექსპერიმენტული გამოცდა“ - განხილულია ფინანსური მონიტორინგის სხვადასხვა მეთოდები. უპირველსად დახასიათებულია რეიტინგული რანჟირების მეთოდი და შემოთავაზებულია მისი გამოყენება მონიტორინგის სხვა მეთოდების - ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი, ალტმანის Z-ანგარიშის მეთოდი, ფულმერის მეთოდის და სხვების - შედეგების შესამოწმებლად.

სტატიის ავტორს საქართველოს „ორ კომპანიის - სს „ქართული ლუდის კომპანია“

და შპს „ლგ გრუპი“-ს მაგალითზე ჩატარებული აქვს ეს შემოწმება, ანუ ამ ახალი მეთოდის ექსპერიმენტული გამოცდით დადგენილი აქვს ფულმერის მეთოდით მონიტორინგის შედეგების სისწორე, ხოლო ალტმანის მეთოდის შედეგებში გარკვეული ცთომილება.

ავტორი იძლევა წინადადებას, რომ მონიტორინგის ეს მეთოდები არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად, კომპლექსურად უნდა იქნენ გამოყენებული.

DEVELOPMENT AND EXPERIMENTAL TESTING OF AN ALTERNATIVE OPTION FOR FINANCIAL MONITORING OF THE COMPANY WITH A RATING RANKING

TORNIKE JINCHARADZE
Georgian Technical University

ABSTRACT

In the article - “Development and experimental testing of an alternative option for financial monitoring of the company with a rating ranking” - various methods of financial monitoring are discussed. The ranked ranking method is firstly characterized and its use is proposed to check the results of other monitoring methods, the method of financial ratios, Altman’s Z-score method, Fulmer’s method and others.

The author of the article has conducted this check on the example of two Georgian companies - JSC “Georgian Beer Company” and LLC “LG Group”, that is, the experimental test of this new method has established the correctness of monitoring results by Fulmer’s method, and certain errors in the results of Altman’s method.

The author suggests that these monitoring methods should not be used separately, but together, in a complex manner.

Keywords: financial monitoring; ranked ranking; graded assessment; rating class.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შედეგები პოსტსაბჭოთა ქვეყნების კონტექსტში

მაკა კუჭავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის რეფორმა; ოჯახის ექიმი; საოჯახო მედიცინა; გეიდკიპერები; პაციენტები.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წელს) წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, რომელთა შორისაა საქართველოც, საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი და სხვები) ფინანსური და მეთოდური დახმარებით, როგორც მთლიანად ჯანდაცვის, ისე მისი პირველადი რგოლის - პირველადი ჯანდაცვის რეფორმა დაიწყო. რეფორმების დაწყებიდან 25 წლის შემდეგ საქართველო რეფორმის შედეგების თვალსაზრისით, ჩამორჩენილ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სიაში აღმოჩნდა. თუ რა კეთდებოდა 1991-2015 წლებში რეფორმების თვალსაზრისით საქართველოს პირველად ჯანდაცვაში და რატომ ვერ მივიღეთ უკეთესი თუ არა, ყირგიზეთის და მოლდოვას მსგავსი შედეგი მაინც, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

ძირითადი ტექსტი

1978 წელს ქ. ალმა-ატაში გამართულ ჯანდაცვის მსოფლიო კონფერენციაზე პირველადი ჯანდაცვა (ანუ პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარება) დღის წესრიგის პირველ პუნქტად იქნა მიჩნეული. ეს მიუთითებს იმ დიდ მნიშვნელობასა და როლზე, რომელიც მას აკისრია მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში და საერთოდ, მსოფლიო მასშტაბით ჯანდაცვის სისტემის განმტკიცებაში.

რეფორმების ტრაექტორია. ჯანდაცვის სფეროში რეფორმების დაწყებიდან (1991 წ.), განსაკუთრებით 2000 წლიდან დღემდე, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მნიშვნე¬ლოვანი ცვლილებები განხორციელდა, რამაც მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომა¬რეობა რამდენადმე გააუმჯობესა [1. გვ. 344]. თუმცა, აღნიშნულ რეფორმებში სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, იყო და დღესაც არის ნაკლოვანებები, რომლებზეც ნაშრომის ამ ნაწილში ვისაუბრებთ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითოეული პოსტსაბჭოთა ქვეყანა და მათ შორის საქართველოც გარკვეული რეფორმებით ცდილობდა პირველადი ჯანდაცვის სექტორის მოწესრიგება-გაძლიერებას. თუ როგორი იყო რეფორმირების მიმდინარე მდგომარეობა ამ ქვეყებში საწყის წლებში, ამას გვიჩვენებს ცხრილი 1.

ცხრილი 1

რეფორმების მიმდინარეობა და საოჯახო მედიცინის დანერგვის მდგომარეობა

ქვეყანა	პერიოდი	რეფორმების მიმდინარეობის მდგომაროება
საქართველო	1991-1997 წ.წ.	პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა საკადრო უზრუნ-ველყოფა ურთიერთგანსხვავებულია. არიან ოჯახის ექიმებიც, საერთო პრაქტიკის ექიმებიც და ვიწრო სპეციალისტებიც. საოჯახო მედიცინა მთლიანად დანერგილი არ არის.
სომხეთი	1993 წ.	მთლიანად დანერგილია საოჯახო მედიცინა. პოლიკლინიკები სჭარბობენ ქალაქებში.

აზერბაიჯანი	2009 წ.	მთავრობა თვლის, რომ საოჯახო მედიცინა მომავალში შეცვლის ამბულატორულ დახმარებას.
ყირგიზეთი	1996 წ.	სამედიცინო-სანიტარული დახმარების დაწესებულებები გადაკეთდნენ საოჯახო მედიცინის ცენტრებად.
მოლდოვა	1998-2004 წ.წ.	სამედიცინო-სანიტარული დახმარების სისტემა მთლიანად გადავიდა საოჯახო მედიცინაზე.
რუსეთი	1992 წ.	რუსეთის არცერთ რეგიონში პირველად ჯანდაცვაში საოჯახო მედიცინა არ ჭარბობს.
უკრაინა	2013 წ.	2013 წლამდე მოსახლეიობის 47,5%-ს ოჯახის ექიმები ემსახურე¬ბოდნენ.
უზბეკეთი	2001 წ.	სიფლის პირველადი ჯანდაცვის სისტემა დაკომპლექტებულია საერთო პრაქტიკის ექიმებით.
ტაჯიკეთი	1998 წ.	სოფლების სამედიცინო პუნქტებში მუშაობენ საერთო პრაქტიკის ექიმები.
ყაზახეთი	2004 წ.	საერთო პრაქტიკის ექიმების მცირე ნაწილი გადამზადდა ოჯახის ექიმებად.
ბელორუსია	1994 წ.	საერთო პრაქტიკის ექიმები მხოლოდ სოფლებში მუშაობენ.
თურქმენეთი	1995 წ.	ინფორმაცია არ არსებობს.

წყარო: **Bernd Rechel, Erica Richardson, Martin Mckee.** Trends in system in the Former Soviet countries. https//www.euro.who.int/data/assets/pdf.fille/0019/261271/Trends-in-health-Systems-in-former:Soviet-Countries.pdf

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, რეფორმის საწყის წლებში საქართველოს და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები სხვადასხვა შედეგზე გავიდნენ. ყველა ამ ქვეყნებში მაშინ მუშობდნენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“), მსოფლიო ბანკის, აშშ-ს სააგენტო - USAID-ის წარმომად-გენლები, რომელთა მიერ მტკიცედ იყო გადაწყვეტილი ამ ქვეყნების პირველად ჯანდაცვაში „საოჯახო მედიცინის მოდელის“ დანერგვა, რომლის მიზანი იყო მოსახ-ლეობის ამბულატორული დახმარების პირველი საფეხურის როლის ამაღლება და ამ გზით პაციენტების მეორეული და მესამეული სამედიცინო დახმხრებაში „მეკარიბჭის“ როლის შესრულება. მაშინ გადაწყვეტილი იყო, რომ თორმეტივე ზემოაღნიშნულ ქვეყანაში, რომელთა შორის იყო საქართველოც, ჯანდაცვის რეფორმებში (და მასზე გაწეულ ხარჯებშიც) პრიორიტეტი უნდა მისცემოდა ხარისხიან სამედიცინო-სანიტარულ დახმარების შექმნას, ანუ ხარისხიან პირველად ჯანდაცვას [2.]. ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ 12 პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან საოჯახო მედიცინა 1993 წელს მთლიანად დანერგილია მოლდოვაში, ყირგიზეთში, სომხეთში. დანარჩენ ქვეყნებში, მ. შ. საქართველოში იგი 1991 წლიდან 1997 წლამდე პერიოდში მხოლოდ ნაწილობრივ იყო დანერგილი. საქართველოზე მძიმე მდგომარეობა აღმოაჩნდა ტაჯიკეთს, ყაზახეთს და უზბეკეთს. იქ, იმ წლებში ოჯახის ექიმებად გადამზადდა მხოლოდ ექიმების მცირე ნაწილი, ბელორუსიაში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში კი, გადამზადება არ მომხდარა. ზოგადად, საოჯახო მედიცინის დანერგვა ყველგან იყო დაწყებული, მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა [3].

დადგენილია ისიც, რომ არც იმ საწყის წლებში და არც მას შემდეგ, დღესაც კი, ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსებაში პირველადი ჯანდაცვა პრიორიტეტი არ გამ-ხდარა. სხვადასხვა კვლევებით აშკარა ხდებოდა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტიდან ლომის წილი სავადმყოფოებს ხვდებოდა. ამაში მათ ლობისტები ეხმარებოდნენ [4. გვ. 1186-1195].

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოში, ყირგიზეთში, მოლ-

დოვაში და უკრაინაში პირველადი ჯანდაცვის რეფორმები უფრი აქტიურად მიმდინა-რეობდა, ვიდრე რუსეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსიაში. მათი უმრავლესობის სოფლის დასახლებებში გახსნილი იყო საექიმო პუნქტები, რომ-ლებიც მინიმუმ ექთნით მაინც იყო დაკომპლექტებული, თანაც ისეთი ექთნით, რომელსაც გამოუვალ მდგომარეობაში, ანუ ექიმის არყოფნის შემთხვევაში, პაციენ-ტისთვის შეეძლო გამოეწერა წამალი. ამ ფორმით სოფლის მოსახლეობის მკურნალობა ძირითადად ხდებოდა შუა აზიის რესპუბლიკებში. რაც შეეხება საქართველოს, სოფლის დასახლებებში ექიმებს მიეცათ ინდმეწარმის სტატუსი და მათი მუშაობა ინდივიდუალური პრაქტიკით განისაზღვრა. იგივე მოხდა სომხეთში, ყირგიზეთში დ მოლდოვაში. თუმცა, მოლდოვას გარდა, სამივე დანარჩენ ქვეყანაში, სოფლად მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება მთლიანად არ იყო გადასული ახალ მოდელზე და ნაწილობრივ ძველ მოდელთან ერთად ფუნქციონირებდა, ანუ მუშაობდა შერეული მოდელით. მაგალითად, საქართველოში პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარების ძველი ცენტრები პაციენტებს აძლევდნენ კონსულტაციებს, ახორციელებდნენ ვიზიტებს და კონტრაქტით მომუშავე ექიმ-სპეციალისტთან პაციენტის გაგზავნის გადამისამართებას, ეს მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ახალი სამედიცინო ცენტრები ქირაობდნენ საერთო პრაქტიკის ექიმებს და უფრო ფართო სპექტრის სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ პაციენტებს [5. გვ. 1-116].

კვლევები აჩვენებს, რომ საწყის წლებში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში და უზბეკეთში პაციენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ლიცენზირებული ინდივიდუალური პრაქტიკა არ არის დანერგილი. რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში კი, იგი გავრცელებულია მხოლოდ სოფელ ადგილებში, ანუ ისე როგორც საქართველოში. უნდა ავღნიშნოთ, რომ ინდივიდუალური სამედიცინო პრაქტიკა არის საოჯახო მედიცინის ნაწილი და მისი დანერგვა გათვალისწინებული იყო ყველა ამ ქვეყნის ჯანდაცვის რეფორმირების პროგრამებში. საქართველოში იგი რეფორმის საწყის წლებშივე დაწყებულა, თუმცა, არამთლიანად და არასრულყოფილად, მაგრამ მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, უფრო სწრაფად. ეს დადებითად აფასებს ჯანდაცვის რეფორმირების მიმდინარეობას საქართველოში მაშინდელ წლებში. ამის მიუხედავად, დღეის მდგომარეობით როგორც ქალაქად, ისე სოფლად პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები ახლებურად, ანუ საოჯახო მედიცინის საწყისებზე მთლიანად გარდაქმნილი არიან არა საქართველოში, არამედ მოლდოვაში, სადაც მთლიანად პოლიკლინიკები და ამბულატორიები გადაკეთდნენ „საოჯახო ჯანმრთელობის ცენტრებად“, საქართველოში კი, ჩამოყალიბდნენ პოლიკლინიკა-ამბულატორიების გაერთიანებები, საავადმყოფო-პოლიკლინიკების გაერთიანებები, ზოგან კი, კვლავ ფუნქციონირებენ პოლიკლინიკები ან ამბულატორიები [6].

ზოგადად ჯანდაცვაში და მათ შორის პირველად ჯანდაცვაში ერთ-ერთი მაღალი მნიშვნელობის საკითხი იყო პაციენტისთვის ოჯახის ექიმის და ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლების მიცემა. ამის მიუხედავად, საქართველოშიც და მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მთავრობის ეს პოლიტიკა არ ემთხვეოდა ადგილებზე გამოყენებულ პრაქტიკას. იქ სადაც პირველად სამედიცინო დაწესებულებებზე პაციენტების მიმაგრების პრაქტიკა არსებობდა, პაციენტებს პოლიკლინიკებზე თუ ამბულატორიებზე ამაგრებდნენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთ დროს, ამ დაწესებულებებში ექიმის დიდი არჩევანის შესაძლებლობა არ არის. თუ როგორ გატარდა რეფორმის ეს ღონისძიება საქართველოს პირველად ჯანდაცვაში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩანს მეორე ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს პირველად ჯანდაცვაში პაციენტს ოჯახის ექიმის ამორჩევის უფლება მიეცა, ხოლო სპეციალისტის ამორჩევის კი ნაწილობრივ. პაციენტები იშვიათად იყენებენ ამ უფლებებს უპირველესად იმიტომ, რომ ოჯახის ექიმების ამოსარჩევი „კრიტიკული მასა“ მცირეა და მეორე იმიტომ, რომ პაციენტებს არა აქვთ ინფორმაცია ექიმების ცოდნასა და კომპეტენციებზე.

ცხრილი 2

პაციენტების მიერ პირველადი რგოლის ექიმის და ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლების არსებობა

ქვეყანა	პირველადი რგოლის ექიმის ამორჩევის უფლება	ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლება
საქართველო	კი	კი (ნაწილობრივ)
სომხეთი	კი	არა
აზერბაიჯანი	კი	არა
ყირგიზეთი	კი	კი
მოლდოვა	კი	კი
რუსეთი	კი	არა
უკრიანა	კი	კი
უზბეკეთი	კი	კი
ტაჯიკეთი	კი	ნაწილობრივ
ყაზახეთი	კი	ნაწილობრივ
ბელორუსი	კი	არ არის ინფორმაცია
ტურქმენეთი	კი	არა

წყარო: **Chanturidze T.** Et Al. (2009). Georgia: Health system Review Health system in Transition. 11(8): 1-116; **Richardson E**. (2003). Armenia: Health System Review. Health systems in Transition. 15(4): 1-99; **Boerma W.** (2012). Evalution of the Structure and Provision of Primary Care in the Republic of Moldova: A suruey-Based Project. Coperhagen. Who Regional Office for Europe.

პირველადი რგოლის ექიმის (ოჯახის ექიმის) ამორჩევის უფლება ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ყველა პაციენტს აქვს, თუმცა, საქართველოს მსგავსად ისინი ამ უფლებას ნაკლებად იყენებენ. რაც შეეხება ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლებას, ეს უფლებები არსებობს, მაგრამ საქართველო მას ნაწილობრივ იყენებს. ამავე მდგომარეობაშია ყაზახეთი და ტაჯიკეთი. ამ უფლებას მთლიანად იყენებენ მოლდოვას, ყირგიზეთის, უკრაინის და უზბეკეთის პაციენტები. საერთოდ გამოყენება არა აქვს მას სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში და რუსეთში. ამის მიზეზი კვლავაც არის პაციენტებისთვის ნაკლები ინფორმირებულობა ექიმების კომპეტენციების შესახებ.

პირველად ჯანდაცვის დაწესებულებებში რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ოჯახის ექიმის მეშვეობით პაციენტის ექიმ-სპეციალისტთან წვდომის დანერგვა. ეს სისტემა თეორიულ დონეზე ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დაინერგა, გარდა რუსეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის და უზბეკეთისა. მათ პირველად ჯანდაცვის დაწესებულებებში გრძელდება პაციენტის სამედიცინო მომსახურების საბჭოური წესი (ე. წ. „სემეშკოს“ მოდელი), კერძოდ, პაციენტი, როგორც მაშინ, ამჯერადაც მიდის საერთო პრაქტიკის მქონე თავის მკურნალ ექიმთან, რომელიც როგორც წესი, თერაპევტია, და, შემდეგ მისი მიმართვით იღებს სამედიცინო მომსახურებას ამა თუ იმ ექიმ-სპეციალისტთან. ეს ხდება იმ ქვეყნებში, რომელთაც ექიმ-სპეციალისტთან

წვდომის ეს, ე. წ. „გეიდკიპინგის“ სისტემა ოფიციალურად არ აქვთ აღიარებული. ამ პროცესს ნორმალურად მიიჩნევენ ამ ქვეყნების პაციენტები [7. გვ. 1-190]. დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, ეს სისტემა ოფიციალურად აღიარდა (ცხრილი 3), ამის მიუხედავად, პაციენტები არჩევენ გვერდი აუარონ ოჯახის ექიმს და პირდაპირ მიაკითხონ ექიმ-სპეციალისტს, ანდა პირდაპირ სტაციონარს (საავადმყოფო), ასე ხდება საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და თურქმენეთში [6]. ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი მოლდოვასა და ყირგიზეთშიც, ანუ იმ ქვეყნებში, რომლებიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საოჯახო მედიცინაზე გადასვლის ნიმუშად არიან აღიარებული [8]. პაციენტების ასეთმა თვითნებურმა ქცევამ გამოიწვია პაციენტებისთვის ჭარბი სტაციონალური მომსახურების გაწევა, ანუ ისეთი მომსახურების, რომელიც შედარებით დაბალი ხარჯით შესრულდებოდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში.

ცხრილი 3

პირველადი ჯანდაცვის დაწესებელებების საცნობარო ფუნქციების

რეალიზაცია მეკარიბჭე ექიმების მიერ

ქვეყანა	საერთო პარქტიკის ექიმები, გეიდკიპერები (მეკარიბჭე ოჯახის ექიმები)	წვდომა ექიმ-სპეციალისტზე
საქართველო	ოფიციალურად აღიარებულია	პირდაპირი მიმართვა სპეციალისტთან პაციენტებს უფრო იაფი უჯდებათ
სომხეთი	ოფიციალურად აღიარებულია	დანერგილია თეორიულად, პრაქტიკულად არ მუშაობს
აზერბაიჯანი	აღიარებულია და მუშაობს სოფლად	პირდაპირი მიმართვაც გავრცელებულია
ყირგიზეთი	აღიარებულია	დანერგილია
მოლდოვა	აღიარებულია	ასეთი წვდომა ფინანსურად წახალისდება
რუსეთი	არ არის სავალდებულო	გავრცელებულია
უკრაინა	აღიარებულია საპილოტე რეგიონებში	გავრცელებულია საპილოტე რეგიონებში
უზბეკეთი	არ არის აღიარებული	არ არის დანერგილი
ტაჯიკეთი	აღიარებულია და მუშაობს საპილოტე რეგიონებში	გავრცელებულია საპილოტე რეგიონებში
ყაზახეთი	არ არის აღიარებული	არ არის დანერგილი
ბელორუსი	აღიარებულია და მუშაობს სოფლად	დანერგილია და მუშაობს სოფელ ადგილებში
თურქმენეთი	დანერგილია	დანერგილია პირდაპირი წვდომა

წყარო: **Chanturidze** T. Et Al. (2009). Georgia: Health system Review Health system in Transition. 11(8): 1-116; **Richardson E**. (2003). Armenia: Health System Review. Health systems in Transition. 15(4): 1-99; **Boerma W.** (2012). Evalution of the Structure and Provision of Primary Care in the Republic of Moldova: A suruey-Based Project. Coperhagen. Who Regional Office for Europe.

საქართველოშიც და დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც ვერტიკალური კომუ-ნიკაცია და ინტეგრაცია მეტად პრობლემატურია სამედიცინო დახმარების პირველად და მეორე-მესამე დონეებს შორის. სამედიცინო დახმარების მეორე და მესამ დონეზე წვდომისთვის პაციენტისთვის ოფიციალურად სავალდებულოა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების მიმართვა, მაგრამ პრაქტიკულად, იგი არ გამოიყენება. საქართველოში და მოლდოვაში ოჯახის ექიმის მეშვეობით დაზღვეული პაციენტის

გადამისამართება მეორეანმესამედონის ექიმ-სპეციალისტთან მთლიანად დაზღვევით იფარება, ხოლო თუ მან ინდივიდუალურად მიაკითხა მას, ან საავადმყოფოს, მაშინ, ჯიბიდან უნდა დაფაროს მკურნალობის ხარჯი მთლიანად. ამ ქვეყნების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები ასეთი ფინანსური სტიმულით ცდილობენ მათთან პაციენტთა მიმართვიანობის გაზრდას [9].

რეფორმის ერთ-ერთი შემედგენელი იყო სამედიცინო დაწესებულებების ახალი სტატუსის განსაზღვრაც. საქართველოში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები რეფორმის პროცესში განკერძოვდნენ და კერძო ამბულატორიულ დახმარებას აწვდიან პაციენტებს [2], მაგრამ ასე არ არის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. ზოგიერთი ქვეყანა საქართველოს მსგავსად კერძო მომსახურებით მუშაობს და ექიმებთან შრომის ანაზღაურების საკონტრაქტო მოდელზე არიან გადასული (ცხრილი 4).

ცხრილი 4

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა სტატუსი და დაქირავებულების შრომის ანაზღაურების მოდელი

ქვეყანა	სამართლებრივი სტატუსი და დაქირავებულებთან ანგარიშსწორების მექანიზმი
საქართველო	**საკონტრაქტო მოდელი.** პირველადი ჯანდაცვის ყველა დაწესებულება ავტონომიურია. ისინი სამედიცინო კადრს ქირაობენ. მათი ანაზღაურება განსხვავებულია. სოფლის დაწესებულებები დამოუკიდებელი ბიუჯეტის მფლობელები არიან. მათთან პირდაპირი ხელშეკრულება აქვს დადებული ჯანმრთელობის დაცვის სააგენტოს.
სომხეთი	**საკონტრაქტო მოდელი.** შექმნილია სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები. პირველადი სამედიცინო დახმარების მომწოდებლებისთვის გადახდა ხორციელდება სულადობრივ საფუძველზე ჯანდაცვის სახელმწიფო სააგენტოს მიერ. ამბულატორიული მომსახურება ნაზღაურდება პაციენტების და შინამეურნეობების მიერ. დაზღვევის საბაზო პაკეტში ჩართული მომსახურებები ნაზღაურდება საერთო ბიუჯეტიდან.
აზერბაიჯანი	**ინტეგრირებული მოდელი.** პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები პირდაპირ ეკუთვნიან რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებას. მედმუშაკების დაქირავება მის მიერ ხდება. ხარჯებსაც მართვის ადგილობრივი ორგანო ფარავს.
ბელორუსი	**ინტეგრირებული მოდელი**. პირველადი ჯანდაცვა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაშია. მას აფინანსებს სახელმწიფო სულადობრივი მიდგომით.
ყაზახეთი	**საკონტრაქტო მოდელი.** პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები სახელმწიფო საწარმოები არიან. მათ აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. პაციენტები იხდიან მხოლოდ საკონსულტაციო და დიაგნოსტიკური მომსახურების ღირებულებას.
ყირგიზეთი	**საკონტრაქტო მოდელი.** პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრებაშია. ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემაში სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი წარმოადგენს ერთიან გადამხდელს. პირველადი დაწესებულებები მასთან აფორმებენ კონტრაქტებს სულადობრივი მიდგომით.
მოლდოვა	**საკონტრაქტო მოდელი**. 1991 წლიდან მთელ პირველადი ჯანდაცვის დაწესებუ-ლებებზე საკუთრების უფლება გადაეცათ რაიონების და ქალაქების მართვის ადგილობრივ ორგანოებს. ისინი ახორციელებენ ანგარიშსწორებას ამ დაწესებულებებთან სულადობრივი მიდგომით.
რუსეთი	**საკონტრაქტო მოდელი**. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრებაშია. საყოველთაო სამედიცინო დაზღვევით მოცულ სამედიცინო მომსახურებას ანაზღაურებს ფედერალური და ტერიტორიული ბიუჯეტები. მედპერსონალის ანაზღაურება მყარი განაკვეთებით ხდება.
ტაჯიკეთი	**ინტეგრირებული მოდელი**. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა თითქმის ყველა მუშაკი სახელმწიფო მომსახურეთ ითვლება, მ. შ. ოჯახის ექიმებიც და მედდებიც, ანუ მთელი „ოჯახის ბრიგადები“. ქვეყნის მთავრობა არის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი, თუმცა, არსებობს პაციენტების საკუთარი ჯიბიდან გადახდაც.

თურქმენეთი	**ინტეგრირებული მოდელი**. პირველადი ჯანდაცვის ყველა დაწესებულება არის კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაში. მათი თანამშრომლები ანაზღაურებას იღებენ ბიუჯეტიდან.
უკრაინა	**ინტეგრირებული მოდელი საკონტრაქტო მოდელთან ერთად**. საკონტრაქტო მოდელი გავრცელდა მხოლოდ საპილოტე რეგიონებში. დანარჩენ რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები სახელმწიფო საკუთრებაშია და ფინანსდებიან ბიუჯეტიდან.
უზბეკისტანი	**ინტეგრირებული მოდელი**. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უდიდესი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი დაფინანსება, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტიან ხდება.

წყარო: **Bernd Rechel, Erica Richardson, Martin Mckee**. Trends in system in the Former Soviet countries. https//www.euro.who.int/data/assets/pdf.fille/0019/261271/Trends-in-health-Systems-in-former:Soviet-Countries.pdf

როგორც მე-4 ცხრილი გვიჩვენებს, მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომელთა რიცხვშია თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი და ბელორუსია, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამართლებრივ სტატუსში რეფორმას არაფერი არ შეუცვლია. ისინი ისევე სახელმწიფო საკუთრებაში არიან, როგორც იყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს. რუსეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში - პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ნაწილმა მიიღო კერძო საწარმოს სტატუსი. მოლდოვას და აზერბაიჯანის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები დაექვემდებარენ რაიონის (ქალაქის) მმართველობას, ანუ ისინი კვლავაც სახელმწიფო საწარმოები არიან, იგივე ხდება სომხეთში. აქ ყოფილი საბჭოური დროის პოლიკლინიკები და ამბულატორიები გადაკეთდნენ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი განკერძოებაც არ მომხდარა.

სტატუსის შეცვლის თვალსაზრისით რეფორმა ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა საქართველოს პირველად ჯანდაცვაში, რადგან პირველადი ჯანდაცვის თითქმის ყველა დაწესებულებამ კერძო საწარმოს სტატუსი მიიღო. „საქართველოში, - წერს პროფესორი თ. ვერულავა, - უმთავრესად სამედიცინო დაწესებულებების მესაკუთრეობის ორი ფორმაა განვითარებული - კერძო მომგებიანი და სახელმწიფო საკუთრების“. სხვა ქვეყნებში, თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, პირველად ჯანდაცვაში მესაკუთრეობის უფრო მრავალი ფორმებია მუნიციპალური მესაკუთრეობის ჩათვლით. ისმება კითხვა: ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებისთვის რა ჯობს - სამედიცინო დაწესებულებათა მესაკუთრეობის ფორმების სიმრავლე თუ პირიქით, საკმარისია ორი ფორმა? სამედიცინო მომსახურების ბაზარი მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებების მრავალი ფორმის არსებობას. მაგრამ არსებული ორი ფორმაც იქნებოდა საკმარისი, საქართველოში საკმარისი რაოდენობით რომ შექმნილიყო არამომგებიანი სამედიცინო დაწესებულებები. ისინი კერძო მომგებიან ორგანიზაციებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მთელ მოგებას ახმარენ სამედიცინო ტექნიკის შეძენას, სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და დასაქმებულთა ხელფასების გაზრდას და არა აქციონრებს შორის მოგების განაწილებას [10. გვ. 89].

ასე რომ, რეფორმის შემდეგ, საქართველოში სახელმწიფოს საკუთრებაში ნაკლებად დარჩა სამედიცინო დაწესებულებები ეს კარგია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, მრავლად გახსნილიყო არა მხოლოდ მომგებიანი, არამედ, არამომგებიანი კერძო დაწესებულებებიც, რომლებიც მოემსახურებოდნენ ღარიბ მოსახლეობას (ევროპის ქვეყნებში ეს მიღებული პრაქტიკაა [11]). ისიც ცნობილია, რომ აშშ-ში ასეთ დაწესებულებებს მიმართავს პაციენტების 70% [12]. ასეთ დროს ამერიკა მდიდარი

ქვეყანაა, საქართველო კი ღარიბი. სწორედ საქართველოს და არა აშშ-ს სჭირდება ასეთი სამედიცინო დაწესებულებები [13].

დასკვნა. საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმირებაში მართლაც იყო ნაკლოვანებები, რომელთა გამო, ეს სფერო ჯერ-ჯერობით ვერ გახდა პრიორიტეტული, ვერც ოჯახის ექიმთან მიმართვიანობაში და ვერც ჯანდაცვისთვის გამოყოფილ დაფინანსებაში. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ნაკლოვანებები გამოსწორდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სანიკიძე მ. ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა საქართველოში: პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები. V საერთაშორისო კონფერენციის - „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. შრომების კრებული. ნაწილი I. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2021. გვ. 344.
2. Smith O., Nguyen SH. (2013). Getting Better: Improving Health System Autcomes in Europe and Central Asia. Washington. Dc. world Bank.
3. Beeli P. (2003). The Years of Health Reforms in Former Socialist Economies: Lessons Learned and Options for the Future. International Health Groups. Cambridge, MA, Harvard School of Public Health.
4. Rechel B., Mckee M. (2009). Health Reform in Central Europe and the Former soviet Union. Lancet. 374:1186-1195.
5. Chanturidze T. Et Al. (2009). Georgia: Health system Review Health system in Transition. 11(8): 1-116.
6. Bernd Rechel, Erica Richardson, Martin Mckee. Trends in system in the Former Soviet countries. https//www.euro.who.int/data/assets/pdf.fille/0019/261271/Trends-in-health-Systems-in-former:Soviet-Countries.pdf
7. Ropovich L., et. al. (2011). Russian Federation: Health System Review. Health systems in Transition. 13:1-190.
8. World Bank (2005). Review of Experience of Family Meicine in Europe and Central Asia. vol. 5. Moldova Case Study: Washington. Dc. world Bank.
9. Boerma W. (2012). Evalution of the Structure and Provision of Primary Care in the Republic of Moldova: A suruey-Based Project. Coperhagen. Who Regional Office for Europe; Chanturidze T. Et Al. (2009). Georgia: Health system Review Health system in Transition.
10. ვერულავა თ. პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მისი როლი ჯანმრთელობის კაპიტალის ამაღლებაში. თბ., 2021. გვ. 89.
11. Feldstein P. J. (2011). Health Policy Issues. An Economic Perspective. Fourth Edition Chicago AUPHA Press.
12. Sloan F. (2000). Not-For-Profit Ownership and Hospital Behavior. Now-York. North-Holland Press.
13. AHA (2007). American Hospital Association. Hospital Statistic: AHA.

აბსტრაქტი

სტატიაში - „**საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შედეგები პოსტსაბჭოთა ქვეყნების კონტექსტში**“ - განხილულია რეფორმის მიმდინარეობა 1991 წლიდან დღემდე. მისი შედეგები შედარებულია თერთმეტ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან, რომ¬ლებშიც ასევე მიმდინარეობდა აღნიშნული რეფორმა. ამ რეფორმებით ისინი ცდილობდნენ საბჭოური ჯანდაცვის რეორიენტაციას ევროპულ, ანუ საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ ჯანდაცვის სტილზე - „საოჯახო მედიცინის“ და ოჯახის ექიმის სტატუსის შემოღება, დაფინანსებაში პირველადი ჯანდაცვის დომინირება, პაციენტისთვის ექიმის ამორჩევის უფლების მიცემა, ჯანდაცვის დაწესებულებების განკერძოება, ფასიანი სამედიცინო მომსახურების შემოღება და ა. შ. მაშასადამე, ე. წ. საბჭოური ჯანმრთელობის დაცვის ე. წ. „სემეშკოს“ მოდელი იცვლებოდა ზოგიერთ ქვეყანაში ბევერიჯის მოდელით, ზოგან კი ბისმარკის მოდელით. ევროპაში ერთიც გავრცელებულია და მეორეც.

სტატიაში აღნიშნულია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ჯანდაცვის რეფორმა ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა მოლდოვაში და ყირგიზეთში, თუმცა, მათაც აქვთ ნაკლოვანებები.

RESULTS OF PRIMARY HEALTH CARE REFORMS IN GEORGIA IN THE CONTEXT OF POST-SOVIET COUNTRIES

MAKA KUCHAVA
Georgian Technical University

ABSTRACT

In the article - “Results of primary health care reforms in Georgia in the context of post-Soviet countries” - the progress of the reform from 1991 to the present is discussed. Its results are compared with eleven post-Soviet countries, in which the said reform was also underway. With these reforms, they tried to reorient Soviet health care to the health care style characteristic of the European, i.e., market economy - introduction of “family medicine” and the status of family doctor, dominance of primary care in financing, giving the patient the right to choose a doctor, privatization of health care facilities, introduction of paid medical services, etc. Therefore, E. year Soviet health care e. year The “Semeshko” model was replaced in some countries by the Beveridge model, and in others by the Bismarck model. In Europe, one is widespread and the other is.

The article notes that among the post-Soviet countries, healthcare reform has been most successful in Moldova and Kyrgyzstan, however, they also have some faults as well.

Key words: healthcare reform; Family doctor; Family medicine; gatekeepers; patients.

სამედიცინო ლაბორატორიული ანალიზატორების და პროცესების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების გზები

მალხაზ ბაბუაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიო-სამედიცინო ინჟინერიის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ხარისხის კონტროლი, განმეორებადობა, სტანდარტული გადახრა, სისტემატური შეცდომა, გლუკოზა.

შესავალი

მიმოხილულია სხვადასხვა ტიპის შეცდომები. განხილულია ხარისხის კონტროლის მექანიზმები. ქსპერიმენტის საფუძველზე ნაჩვენებია და დაანგარიშებულია საშუალო მნიშვნელობა, სტანდარტული გადახრა, ვარიაციის კოეფიციენტი, შესაძლო შეცდომა, საერთო ჯამური შეცდომა. შედარებულია მწარმოებლის და საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებს.

განხილულია ლაბორატორიის სტატისტიკური ხარისხის შიდა კონტროლის მექანიზმები, როგორც ხარისხის მენეჯმენტის ერთიანი სისტემის ნაწილი. მოყვანილია ცალკეული ხარისხის სიზუსტის შეფასების კრიტერიუმი. გლუკოზის საკონტროლო შრატის, რომელიც გამოყენებულ იქნა ფრანგული მწარმოებლის [Biolabo-s კონტროლი Exatrol N რომლის ნორმებია 4,8---6,5 მმოლ/-ში. ასევე გამოყენებულია მულტიკალიბრატორი (MULTICALIBRATOR), რომლის სტანდარტული კონცენტრაციაა 5,6 მიკროგრამი გადახრის დიაპაზონით +-0,4 მიკროგრამი.][1] ნაჩვენებია რეალური ექსპერიმენტული შედეგები რეაგენტის განსხვავებული მოცულობის და სტანდარტის სხვადასხვა კონცენტრაციების დროს. ჩატარებულია 10-10 პარალელური საკონტროლო შრატის გაზომვა ერთი და იგივე დროს და პირობებში.

[მიმოვიხილოთ ხარისხის კონტროლის ზოგიერთი დეფინიცია, თუ რას გულისხმობს კლინიკური ლაბორატორიისთვის. ISO-ს მიხედვით, ხარისხის კონტროლის ზოგადი დეფინიციაა: ,,სამუშაო ტექნიკა და მეთოდები, რომელიც გამოიყენება ხარისხის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის", მაგრამ ლაბორატორიაში ხარისხის კონტროლი ხშირად გულისხმობს უფრო მეტ სპეციფიურს-ეს ნიშნავს კონტროლის გაშვებას, მონაცემების ანალიზი, და ანალიტიკური ხარისხის შიდა კონტროლის წესების ინტერპრეტაციას, რათა მოხდეს ხარისხობრივი შეფასება, თუ რამდენად ნორმაშია კონტროლის შედეგები და აკმაყოფილებს დასაშვებ ნორმებს, აღმოჩენილი პრობლემის აღმოფხვრა და.ა.შ. სტატისტიკური ხარისხის კონტროლი, ასევე მოიცავს პროცედურებს, მეთოდების და შეცდომების მონიტორინგს, ხარისხის საკონტროლო ნიმუშებს, დიაგრამებს და მათ ანალიზსს, რათა დროულად მოხდეს შეცდომის გამომწვევი წყაროს იდენტიფიკაცია- შესაბამისად მათი დოკუმენტირება ,,რეპორტინგის'' სახით და შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრა.][2]

აღნიშნულ, სრულად ავრომატურ ბიოქიმიურ ანალიზატორში KENZA 240 TX S/n: 191606133 ხარისხის კონტროლი მოიცავს ნორმალურ და პათოლოგიური კონტროლის ნიმუშებს. ხარისხის კონტროლის პრაქტიკული განსაზღვრება მოიცავს: ლაბორატორიაში სხვადასხვა პროცედურების გამოყენებას, დაწყებული პრეანალიტიკური(ანალიზის აღება-შენახვის და მომზადების წესები) ფაზიდან, შემდეგ ანალიტიკური (ანალიზატორის მიერ გაზომვა და ხარისხის კონტროლი) და პრეანალიტიკური(რეპორტინგი, ანალიზის შედეგების შეფასება) ფაზას. ასევე, ყოველდღიური ანალიზების შესრულების მონიტორინგს, მოწყობილობების გამართულ მუშაობას. ლაბორატორიებს უნდა გააჩნდეთ ხარისხის კონტროლის მონაცემთა მენეჯმენტის პროგრამა, პაციენტის შედეგების და სხვადასხვა სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაცია.

მოკლედ მიმოვიხილოთ სტატისტიკური ხარისხის კონტროლის ძირითადი მაჩვენებლები, ესენია: მონაცემთა საშუალო მნიშვნელობა
Xსაშ=∑ Xn/n; ავტომატური ანალიზატორების პროგრამა აღნიშნულ მნიშვნელობას თვითონ ითვლის და წარმოადგენს სტატისტიკას.

სტანდარტული გადახრა (SD)-გვიჩვენებს თუ რამდენად ახლოს კონტროლის შედეგების კლასტერი საშუალო მნიშვნელობასთან, ან რამდენად ფართოდ არის გაბნეული საშუალო მნიშვნელობიდა. რაც უფრო დაბალია სტანდარტული გადახრა, მით მაღალია სიზუსტე. მაღალი სტანდარტული გადახრა იწვევს დიდ უზუსტობებ. შტანდარტული გადახრა გამოითვლება ფორმულით:

$$= \sqrt{\frac{\sum(X-\bar{X})^2}{n-1}}$$

SD

აღნიშნულს პარამეტრს ავტომატური ანალიზატორების პროგრამის უმრავლესობა თავად ანგარიშობს.

ვარიაციის კოეფიციენტი (CV%) გვიჩვენებს კონტროლი სტანდარტული გადახრის გაბნევას საშუალო მნიშვნელობასთან და გამოითვლება ფორმულით:

CV% = (SD/x̄) * 100

ვარიაციის კოეფიციენტი ასევე გვიჩვენებს მეთოდის, ანალიზატორის, ინსტრუმენტის უზუსტობას მწარმოებლის მიერ დადგენილ ნორმებთან შედარებით. მრავალ აკრედიტირებულ ლაბორატორიებს გააჩნიათ მოთხოვნა, რომ CV-ს მონიტორინგ უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად რაოდენობრივი ტესტებისთვის.

შტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად საკმაოდ ინფორმატიულია ჰისტოგრამის, დიაგრამის მიმოხილვა, რომელიც გვიჩვენებს კონტროლის მონაცემთა სეტის რაოდენობრივი მნიშვნელობის წერტილების განაწილებას

გარკვეული დროის ჭრილში.

[გლუკოზის მეთოდი წარმოადგენს End point/Inicial Rate , რომლის სისხლის შრატში მოზრდილთა ნორმებია 4,1 –დან 6,4 მმოლ/ლ-ში. საკონტროლო შრატის მოცემული ნორმაა 4,8---6,5 მმოლ/ლ-ში.][3] განმეორებადობის შემოწმების წინ აუცილებელია, ანალიზატორი ტექნიკურად გამართულია და დაკალიბრებული. CK Cuvette მონაცემები იმყოფება ნორმის ფარგლებში. განმეორებადობის შედეგები წარმოდგენილია ცხრილის სახით. დაანგარიშებულია ხარისხის კონტროლის ძირითადი პარამეტრები მულტიკალიბრატორის სხვადასხვა კონცენტრაციის და რეაგენტის სხვადასხვა მოცულობის ცვლილების დროს. გამოთვლილია შეცდომის რაოდენობრივი მაჩვენებელი. შედარებულია მწარმოებლის მიერ დასაშვებ მონაცემებთან.

გლუკოზის განმეორებადობის ტესტის შედეგების და შიდა ხარისხის მაჩვენებლების ცხრილი

	STD=5,6მიკროგრამი Reagent=300microgram		STD=5,4მიკროგრამი Reagent=300Microliter		STD=5,6მიკროგრამი Reagent=250microliter		STD=5,6მიკროგრამი Reagent=220microliter
#	რეზულტატი mmol/L	#	რეზულტატი mmol/L	#	რეზულტატი mmol/L	#	რეზულტატი mmol/L
1	4.3500	1	4.5300	1	4.7900	1	4.5100
2	4.3700	2	4.5700	2	4.6800	2	4.5100
3	4.4100	3	4.5200	3	4.7700	3	4.4800
4	4.4600	4	4.7400	4	4.6900	4	4.4700
5	4.0700	5	4.7800	5	4.4900	5	4.6800
6	4.5700	6	4.2200	6	4.5800	6	4.4100
7	4.6400	7	4.4100	7	4.7500	7	4.4400
8	4.5000	8	4.6500	8	4.6000	8	4.4900
9	4.6200	9	4.4000	9	4.5500	9	4.4400
10	4.4000	10	4.2800	10	4.6200	10	4.3400
MEAN	4.4390	MEAN	4.5100	MEAN	4.6520	MEAN	4.4770
STDEV	0.1652	STDEV	0.1852	STDEV	0.1002	STDEV	0.0879
N-1	9	N-1	9	N-1	9	N-1	9
CV%	3.72209403	CV%	4.105822443	CV%	2.153908005	CV%	1.964388883

ცხრილი №1

მწარმოებლის მიერ დადგენილი პროტოკოლით, ვარიაციის კოეფიციენტი იდეალურ შემთხვევაში CV=1,79% Exatrol N საკონტროლო ნიმუშის დროს. ცხრილი 1-დან ნათლად ჩანს, რომ ყველაზე ახლო შედეგი მე-4 სვეტის განმეორებადობის შედეგებს შეესაბამება, რომლის მნიშვნელობა 1,964%-ია. შესაბამისად, შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ აღნიშნული კონტროლის დროს, როდესაც სტანდარტის კონცენტრასია შეესაბამება 5,6 მიკროგრამ და გლუკოზის რეაგენტის მოცულობა 220 მიკროლიტრს, ექსპერიმენტულად მივიღეთ უკეთესი შედეგი, ვიდრე სხვა განმეორებადობის ანალიზის დროს.

აუცილებელია, ასევე განმეორებადობის ან კალიბრაციის პროცედურის დროს მხედველობაში მიღებულ იქნას ანალიზატორის გაზომვის შეცდომა, შესაძლო საერთო შეცდომა და აბსოლუტური შეცდომა. აღნიშნული შეცდომის დაშვების გაანგარიშება მოიცავს მრავალ ასპექტს და დაკავშირებულია უამრავ გამოთვლებთან და გაიდლაინებტან კონკრეტული პირობების დროს. ამიტომ იგი ცალკე კვლევის საგანია. [მეტი ინტერპრეტაციისთვის ნაჩვენებია სიზუსტის და განმეორებადობის წერტილების განაწილების გრაფიკები:



ა) ცუდი განმეორებადობა ცუდი სიზუსტე

ბ) ნახ №2 კარგი განმეორებადობა ცუდი სიზუსტე

გ) მაღალი განმეორებადობა მაღალი სიზუსტე][3]

ამრიგად, ავტომატურ ბიოქიმიურ ანალიზატორზე გლუკოზის ნორმალური საკონტროლო შრატის განმეორებადობის, სტანდარტის კონცენტრაციის და რეაგენტის სხვადასხვა მოცულობის დროს ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დაანგარიშებული ანალიტიკური სტატისტიკური მონაცემების მაჩვენებლები ნათლად ასახავს ხარისხის შედეგების, განმეორებადობის შედეგების სურათს. ასევე, ნაჩვენებია ზოგიერთი ხარისხის კონტროლის მნიშვნელოვანი ასპექტები, მათი გაუმჯობესების და კონტროლის მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. CON_DT_220_IFU_95010-95110_EN_V01H_20221021 21.10.2022
2. Sten Westgard MS. Basic Applications in Clinical Laboratory Quality Control P.A.C.E. Approved Workbook, 2021 www.technopathcd.com
3. Precision and repeatability of a machine vision system, 2009-2022 https://www.vision-doctor.com/en/precision-and-repeatability.html

რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია სამედიცინო ლაბორატორიაში არსებული შემთხვევითი და სისტემატური შეცდომები, მათი შესაძლო წარმოშობის გზები. ასევე, პრეანალიტიკურ, ანალიტიკურ და პოსტანალიტიკურ ფაზებში შესაძლო შეცდომების, რომელიც საბოლოოდ აისახება აისახება ანალიზების გაზომვების სიზუსტეზე (სხვადასხვა პარამეტრებზე). განხილულია ხარისხის კონტროლის ძირითადი მაჩვენებლების მნიშვნელობა. ავტომატურ ბიოქიმიურ ანალიზატორზე ჩატარებულია გლუკოზის საკონტროლო შრატის განმეორებადობის ექსპერიმენტი სხვადასხვა სტანდარტული კონცენტრაციის და რეაგენტის სხვადასხვა მოცულობის დროს. დაანგარიშებულია და შეფასებულია სტატისტიკური ანალიტიკური ხარისხის მაჩვენებლები, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

Resume

The article describes random and systematic errors in the medical laboratory, the possible ways of their occurrance. It is also possible to make mistakes in the pre-analytical, analytical and post analytical phases, which will affect on the accuracy of the analysis measurements(on various parameters).the importance of the main characteristics of quality control is discussed. An experiment on the reproducibility of glucose control serum at different standard concentrations and different volumes of reagent was performed on an automatic biochemical analyzer. Quality indicator are calculated and evaluated, conclusions are drawn.

მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში

გიორგი ასათიანი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: გადასახადები; საგადასახადო ტვირთი; ტვირთის სიმძიმე; ტვირთის სიმსუბუქე.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა ქვეყნის მთავრობის პირველი რიგის ამოცანაა. იგი მოსახლეობის ცხოვრების დონესაც აამაღლებს და საქართველოს პრესტიჟსაც მსოფლიოს თვალსაწიერში.

ეკონომიკის მდგრად განვითარებას საკმარისი ფინანსური რესურსი სჭირდება. ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 90%-ით გადასახადებით ივსება. მათ შორის არის ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, რომლის განაკვეთი ყველა გადამხდელისთვის საქართველოში დასაბეგრი შემოსავლის 20%-ია.

ძირითადი ტექსტი

ყველა დროში და ყველა ქვეყანაში გადასახადი რაღატომღაც ყოველთვის ტვირთთან ასოცირდებოდა. ასეა დღესაც. ამ მსგავსებას ალბათ, მისი „სიმძიმე და სიმსუბუქე“ წარმოშობს. როგორც ფიზიკური ტვირთი არ შეიძლება იმაზე მეტი იყოს, რომ მტვირთველმა მას ვერ გაუძლოს, ისე გადასახადის სიმძიმე იმდენი უნდა იყოს, რომ გადასახადის გადამხდელმა მისი გადახდა შეძლოს...

პირველი შეხედულება საგადასახადო ტვირთზე გამოითქვა ადამ სმიტის მიერ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის მიზეზებსა და ბუნებაზე“. მან აღნიშნა, რომ „საგადასახადო ტვირთის შემცირებით სახელმწიფო იგებს მეტს, რადგან სახსრების გამოთავისუფლებით შეიძლება მიღებული იქნას დამატებითი შემოსავალი, რომლის¬განაც ხაზინაში შევა კიდევ მეტი შემოსავალი“. ამ გამონათქვამს ჩვენ იმასაც დავამატებთ, რომ მცირე გადასახადის პირობებში უფრო მეტ ადამიანებს უჩნდებათ თუნდაც დაბალ¬ხელფასიანი დასაქმების სურვილი, ანდა კერძო ბიზნესის დაწყების სურვილი. ამით იზრდება საგადასახადო ბაზა და აქედან გამომდინარე, აბსოლუტურ თანხებში ბიუჯეტში მეტი თუ არა, იმაზე ნაკლები საგადასახადო შემოსავალი არ შევა, ვიდრე იქამდის შედიოდა. მაგალითად, 100 ადამიანი, რომელთა თვიური შემოსავალია 1000 ლარია თვეში, საშემოსავლო გადასახადის სახით იხდიან 20%-ს ბიუჯეტში. მთლიანად იგი შეადგენს 20 000 ლარს. თუ ეს გადასახადი 10%-,მდე შემცირდება, მართალია, ეს 100 ადამიანი ბიუჯეტში გადაიხდის უკვე არა 20 000 ლარს, არამედ, 10 000 ლარს, მაგრამ 10%-იანი გადასახადი ისეთი წამახალისებელი აღმოჩნდება, რომ სულ მცირე 100 ადამიანი კიდევ წამოიწყებს ახალ საქმეს და ისინიც ბიუჯეტში გადაიხდიან 10 000 ლარს. ასე რომ, ამ ნაბიჯით ბიუჯეტს არაფერი დააკლდება, შემოსავალი კი, 100 ადამიანის ნაცვლად, 200 ადამიანს გაუჩნდება, რომელთა უკან ოჯახები დგას - ცოლ-შვილი, მოხუცი მშობლები და კმაყოფაზე მყოფი სხვა პირები.

საქართველოში მოქმედი 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი ევროპის ქვეყნებთან შედარებით, არ არის დიდი, მაგრამ, იქაურ მოსახლეობას ჯერ ერთი სხვა შემოსავლებიც აქვთ - აქციებიდან დივიდენდები, უძრავი ქონების გაქირავებიდან შემოსავლები და

სხვა, საქართველოს ღარიბ მოსახლეობას კი არაფერი მსგავსი არ გააჩნია (ერთეული გამონაკლისების გარდა). მათი შემოსავალი თუ დასაქმდებიან ხელფასია და მეტი არაფერი. თანაც ამ შემოსავალზე ყველა ერთნაირად იხდის - მდიდარიც და ღარიბიც.

საგადასახადო ტვირთის ერთიანი უნივერსალური პარამეტრი მსოფლიოში არ არის შემუშავებული. ადრე მის ოპტიმალურ მაჩვენებლად 37,5% იყო [1. გვ. 87] (მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში). მეცნიერთა ერთ ნაწილს ამერიკელი მეცნიერის ლაფერის მიერ მიგნებული 35-45%-იანი ზღვარი მიაჩნიათ უფრო მისაღებად და თვლიან, რომ მასზე მეტი ერთობლივი გადასხადი გადასახადის გადამხდელს უკარგავს საქმიანობის ინტერესს.

ეს ასეა თუ ის, ფაქტია, რომ ალბათ, უპრიანია მთლიანობაში გადასახადის გადამხდელები თავიანთი შემოსავლების 50%-ზე მეტს არ იხდიდნენ ბიუჯეტში. მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში, მეცნიერ თ. კბილაძის გაანგარიშებით მან 2011 წელს შეადგინა 18,1%. მან ეს გაანგარიშება განახორციელა ფორმულით [1. გვ. 105]:

მსტ=(მდგ/მფშ)×100%

სადაც:

მსტ - მოსახლეობის საგადასახადო ტვირთია.

მდგ - მოსახლეობაზე დარიცხული საშემოსავლო გადასახდი.

მფშ - მოსახლეობის ფულადი შემოსავლები.

საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში ეს მაჩვენებლები 2020 წელს შეად¬გენდა:

მდგ - 3240,0 მლნ ლარი [2. გვ. 13].

მფშ - 12444 მლნ ლარი [3. გვ. 51].

მაშინ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი ტოლი იქნება:

$$\text{მსტ} = 3240{,}0/12444 \cdot 100 = 26{,}0\%$$

თუ საშემოსავლო გადასახადით საქართველოს მოსახლეობის ჩვენს მიერ გამოანგარიშებული ტვირთის დონეს (26%) შევადარებთ მეცნიერ თ. კბილაძის მიერ გამოანგარიშებულ ტვირთთან, დავინახავთ, რომ იგი კი არ შემცირებულა, არამედ, გაზრდილა 7,9 პროცენტული პუნქტით (26 – 18,1 = 7,9). ასეთ დროს, გადასახადის გადამხდელები მუდმივად ელოდებიან საგადასახადო ტვირთის შემცირებას და არა გაზრდას.

ფიზიკურ პირთა დაბეგვრის ტვირთის შესამცირებლად ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ მოსახლეობის შემოსავლები დაიბეგროს პროგრესული სისტემით, ანუ შემოსავლების სიდიდის მიხედვით („მეტი შემოსავალი - მეტი გადასახადი) 0%-დან 35%-ის ფარგლებში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საშემოსავლო გადასახადის რეკომენდებული განაკვეთები (%-ში)

წლიური შემოსავალი (ლარი)	**საშემოსავლო გადასახადის ანგარიში**
6000 ლარამდე (დაუბეგრავი მინიმუმი)	0
6001-დან 10000-მდე	6000 ლარამდე არ დაიბეგრება, 6000-დან 10000 ლარამდე შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით
10001-დან 30000-მდე	10001 ლარიდან 30000-მდე დაიბეგრება 10%-ით
30001-დან 50000-მდე	30001-დან 50000-მდე დაიბეგრება 12%-ით
50001-დან 70000-მდე	50001-დან 70000-მდე დაიბეგრება 15%-ით

70001-დან 100000-მდე	70001-დან 100000-მდე დაიბეგრება 20%-ით
100001-დან 500000-მდე	100001-დან 500000-მდე დაიბეგრება 25%-ით
500001-დან 1000000-მდე	500001-დან 1000000-მდე დაიბეგრება 30%-ით
1 მლნ და მეტი	1 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი დაიბეგრება 35%-ით

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ ლაფერის მრუდზე დაყრდნობით, საქართველოში არსებულ საარსებო მინიმუმის და საქონელსა და მომსახურებაზე ფასების გათვალისწინებით

ცხრილიდან ჩანს, რომ საშემოსავლო გადასახადის დღევანდელი 20%-იანი და მასზე მეტი განაკვეთით დაიბეგრებიან მხოლოდ ის ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავალი წლიურად 70 000 ლარზე მეტია. ამაზე ნაკლები შემოსავლის მქონენი ან თავისუფლ¬დებიან გადასახადისგან (6000 ლარამდე), ან იბეგრებიან 5, 10, 12 ა 15 პროცენტით შემოსავლის.

დასკვნა. საშემოსავლო გადასახადის ჩვენს მიერ შემოთავაზებული განაკვეთების ანგარიშის დროს გათვალისწინებულია ლაფერის მრუდი, საქართველოში არსებული საარსებო მინიმუმი და საქონელზე და მომსახურებაზე დღეს არსებული ფასები. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ თუ დაბეგვრის ასეთ შკალას ავამოქმედებთ, გაიზრდება 0, 5, 10 და 12%-იანი გადასახადის გადამხდელების რიცხვი. მათში მოვიაზრებთ იმ ინდმეწარმეებს, რომელთაც არც მიკროსაწარმოს სტატუსი აქვთ და არც მცირე საწარმოსი, და, ამის გამო, შეღავათიანი დაბეგვრით კი არ იბეგრებიან, არამედ, 20%-იანი დაბეგვრით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კბილაძე თ. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის განსაზღვრის პრობლემები საქართველოში. დისერტაცია. თბ., 2014. გვ. 87.
2. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2021-2024 წლებისთვის. საქართ-ველოს მთავრობა. თბ., 2020. გვ. 13.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2021. გვ. 51.

რეზიუმე

სტატიაში - „მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში“ - საუბარია ფიზიკური პირების საგადასახადო ტვირთის სიდიდეზე საქართველოში. ერთმანეთს შედარებულია 2011 და 2020 წელს დაფიქსირებული ამ ტვირთის სიდიდე (პროცენტებში მოსახლეობის ფულად შემოსავლებთან შეფარდებით) და ნათქვამია, რომ ამ პერიოდში იგი შემცირების ნაცვლად გაზრდილია 7,9 პროცენ¬ტული პუნქტით.

მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით სტატიის ავტორი წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლის დაბეგვრის პროგრესული შკალის კონცეპ-ტუალურ ვარიანტს.

TAX BURDEN OF POPULATION IN RELATION TO INCOME TAX

GIORGI ASATIANI,
Doctoral of Georgian Technical University

R E Z U M E

In the article - “Tax burden of population in relation to income tax” – it is discussed about the size of the tax burden of individuals in Georgia. The magnitude of this burden recorded in 2011 and 2020 (as a percentage of the monetary income of the population) is compared to each other, and it is said that during this period it increased by 7.9 percentage points instead of decreasing.

In order to ease the tax burden of the population, the author of the article presents a conceptual option of a progressive scale of taxation of the population’s income.

Keywords: taxes; tax burden; weight of cargo; Lightness of load.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბრძოლა უკრაინის გეოპოლიტიკური სივრცისთვის

მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური სივრცე, უკრაინა, რუსეთი, სამხედრო ინტერვენცია, დონბასი, ხერსონი

შესავალი. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის (რუსეთის) ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებს უკრაინის სივრცისთვის. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ უკრაინას მაგრამ მას არ განიხილავენ როგორც დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ ერთეულს საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ აფასებენ მას მხოლოდ როგორც რუსეთზე ზეწოლის გაზრდის ობიექტს. აღმოსავლეთი ე.ი. -რუსეთი განიხილავს უკრაინას როგორც თავის გეოპოლიტიკურ სივრცეს რადგან უკრაინის გარეშე რუსეთი ვერ იქნება მსოფლიოში ლიდერი სახელმწიფო. ამ სტატუსის მოპოვება მხოლოდ უკრაინისა და ბელორუსზე კონტროლითაა შესაძლებელი. რუსეთი არ კმაყოფილდება დღევანდელი რეგიონალური სახელმწიფოს სტატუსით, სწორედ ამ ინტერესების შეჯახებამ გამოიწვია რუსეთის სამხედრო ინტერვენცია უკრაინის სივრცეზე.

„საიდუმლო ომი“

ცნობილი პოლონური წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგი, სოციოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე ზბიგნევ ბჟეზინსკიც საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევს თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში დამოუკიდებელ უკრაინას მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. ცნობილ ნაშრომში „დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“, ის უკრაინას ანიჭებს „ბუფერული ზონის“ როლს, რომელიც დაეხმარება რუსეთის „გარდაქმნას“. უკრაინის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკურ ცენტრად მიჩნევს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებაზე მთლიანად ევროპის კონტინენტზე, ის აღნიშნავს, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის მისი გავლენა რუსეთზე, რადგან ეს გარანტიას იძლევა. ამ უკანასკნელის უმტკივნეულო ტრანსფორმაციისა იმპერიალისტურიდან ეროვნულ სახელმწიფოდ

ზ. ბჟეზინსკის აზრით, გეოპოლიტიკური ვაკუუმი რუსეთსა და ევროპას შორის სახიფათოა და შეერთებული შტატები არ არის დაინტერესებული ევროპის გარშემო არასტაბილური ზონით, დიდი და მზარდი ინტეგრირებული საერთო ევროპული სივრცის შექმნის ამოცანა გადაუდებლად შეიძლება ჩაითვალოს. საუბარია ევროპის შექმნაზე პორტუგალიის ყველაზე დასავლეთი წერტილიდან კამჩატკამდე. უკრაინა, ხაზს უსვამს ზ. ბჟეზინსკი, არის ღერძი, რომლის სიძლიერე განსაზღვრავს ამ ისტორიულ ექსპანსიას. „ისტორიული ტრანსკონტინენტური ევროპის“ შესაქმნელად საჭიროა დემოკრატიულად და ევროპულად წარმატებული უკრაინა . ზემოაღნიშნულის მათემატიკურ ფორმულაში ჩასმით მივიღებთ რუსეთს პლუს უკრაინა უდრის იმპერიას და შესაბამისად რუსეთი მინუს უკრაინა არ არის იმპერია.

ვფიქრობთ რომ დღეს აშშ-ს დაინტერესებულნი არიან ერთიან დასავლეთზე,

წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპა დაუბრუნდება ძველ დაპირისპირებებს, შესაძლოა შეიქმნას ინტერესთა კონფლიქტები, ეს გამოიწვევს ახალ კავშირების შექმნას, სამთა კავშირისა და ანტანტის მსგავსად, შესაბამისად საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ქაოსი დასადგურდება. ამ კონსტრუქციიდან გამომდინარე დასავლეთის ერთიანობის საკითხი გარკვეულ წილად უკრაინაზეა დამოკიდებული, რადგან უკრაინაზე კონტროლის დაკარგვა იწვევს რუსეთის დასუსტებას, შესაბამისად ევროპას მიეცემა რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებისა და კონტროლის საშუალება.

მოსკოვში ძალიან კარგად ესმოდათ დასავლეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზნები. რუსეთი, საკუთარი ინტერესების მშვიდობიანი გზით დასაცავად, არჩევნების მეშვეობით შეეცადა პრორუსული ხელისუფლების მოყვანას კიევში და რეგიონებში. უნდა აღინიშნოს რომ მოსკოვმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით, მაგრამ დასავლეთმა დროული რეაგირება მოახერხა, ამავდროულად უკრაინელმა ხალხმა არჩია თავისუფლება, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ცხოვრება ევროპული ღირებულებებით.

უნდა აღინიშნოს რომ უკვე საიდუმლეობას არწარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოსკოვის მიერ გამოყოფილი მრავალმილიარდიანი თანხა უკრაინაში პრორუსული ძალების გასაძლიერებლად არამიზნობრივად დაიხარჯა და მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. კრემლის გეოპოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ რომ მშვიდობიანი გზით უკრაინას უკვე ვერ დაიბრუნებდნენ. რჩებოდა ერთადერთი გზა - ომი.

დიპლომატიის კრახი. ომის ახალი ფაზა

რუსეთის მიერ წამოწყებულმან გაუმართლებელმა სამხედრო აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მთლიანი ევროპის გეოპოლიტიკურ რეალობასა და უსაფრთხოების არქიტექტურაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკრაინის ომი ყველაზე ფართომასშტაბიან და დამანგრეველ კონფლიქტად იქცა ევროპის კონტინენტზე, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა დასავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით. უკრაინის ომმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა საერთაშორისო თანამეგობრობა იმაში, რომ რუსეთის სტრატეგიულ მიზანს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მოშლა და კრემლისთვის სასურველი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება წარმოადგენს. უკრაინაში სამხედრო ინტერვენციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთის საერთაშორისო იმიჯსა და მის ფინანსურ სექტორზე და დასავლეთთან დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი განადგურდა და უამრავი მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა, აღნიშნულმა ომმა რუსეთის სამხედრო პოტენციალის სისუსტეები და ჯარში არსებული პრობლემები გამოავლინა. ცივილიზებულმა სამყარომ გააცნობიერა კოლექტიური ძალისხმევის გაძლიერების აუცილებლობა ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ეს ძალისხმევა გამოიხატა, ერთის მხრივ, ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებითა და ფინეთისა და შვედეთის ალიანსში წევრობით, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების რიცხვის გაზრდით.

უკრაინის კრიზისმა მნიშვნელოვნად შეცვალა დასავლური ქვეყნების დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში და ბოლო მოუღო „დათმობებისა და არგაღიზიანების პოლიტიკას“. ევროპამ აღიარა, რომ უკრაინა არა მხოლოდ საკუთარი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, არამედ საერთო ევროპული მომავლისთვის იბრძვის. ევროპამ არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა, რათა გამოეხატა

თავისი სოლიდარობა და მხარდაჭერა იმ ქვეყნებისთის, რომლებიც ყველაზე მოწყვლადი არიან რუსეთის სამხედრო აგრესიის მიმართ. შედეგად ევროკავშირმა ე.წ. „ასოცირებული ტრიოს“ ქვეყნებიდან ორს, უკრაინასა და მოლდოვას, კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭა. ევროპამ ამ ნაბიჯით დაამტკიცა თავისი ერთგულება საერთო ევროპული იდეისადმი და მხარი დაუჭირა იმ ქვეყნებს, რომლებსაც სურთ გახდნენ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი.

უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე ევროპა აქტიურად ეხმარება კიევს ფინანსური და სამხედრო თვალსაზრისით, გამოყოფს მრავალმილიარდიან თანხებს და უკრაინის სამხედრო ძალებს თანამედროვე შეიარაღებით ამარაგებს. ეს ქმედებები, ერთის მხრივ, მოწმობს ევროპის ძალისხმევაზე ბოლომდე დაეხმაროს უკრაინას რუსული აგრესიის შესაჩერებლად, ხოლო მეორეს მხრივ, თვალსაჩინოს ხდის ევროპის ერთიანობას იმოქმედოს კონსოლიდირებულად ერთი სუბიექტის სახით.

ევროკავშირსა და რუსეთს შორის ორმხრივ ურთიერთობებში ყველაზე სენსიტიური თემა, რაც აწუხებდა ევროპას, ენერგეტიკული საკითხი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ევროპა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთის გაზმომარაგებაზე, რასაც კრემლი ხშირად ენერგეტიკულ იარაღად იყენებდა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, აუცილებელი გახდა ალტერნატიული გზების მონახვა ამ დამოკიდებულების შესამცირებლად. გარდა ამისა, ევროპამ ნავთობზე ზედა ზღვარი დააწესა, რათა რუსული ნავთობის შეძენა მაღალ ფასად არ მომხდარიყო და რუსეთს უამრავი ეკონომიკური სანქციაც დაუწესა. შედეგად რუსული ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა და მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მისი აღდგენა საკმაოდ რთული იქნება.

ევროპული საგარეო პოლიტიკის ცვლილება რუსეთთან მიმართებაში ცივი ომის შემდეგ ევროპა-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობები ასეთი დაძაბული ჯერ არ ყოფილა. უკრაინის ომის დაწყებიდან მალევე მთელი რიგი ევროპული ქვეყნების თანხმობის საფუძველზე რუსეთის წევრობა ევროპულ საბჭოში შეჩერებულ იქნა. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა ეხება ადამიანის უფლებების დაცვას და შესაბამისად რუსეთის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უამრავი დანაშაულის ფონზე მისი წევრობა როგორც მორალური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით მიუღებელი იქნებოდა. რაც შეეხება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ინსტიტუციების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს რუსეთთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ჯერ წევრმა ქვეყნებმა ეროვნულ დონეზე, ხოლო შემდეგ უკვე ევროპარლამენტმა რუსეთი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია, თუმცა ეს არის ძლიერი პოლიტიკური გზავნილი მოსკოვისთვის, რაც გულისხმობს იმას, რომ დასავლეთი არ დახუჭავს თვალს რუსეთის ბრუტალურ ქმედებებზე და რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპისა და რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზება ვერ მოხერხდება.

უკრაინაში შეჭრის პირველ დღეებში რუსეთი აცხადებდა, რომ დაწყებული „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მიზანს უკრაინის ხელისუფლების შეცვლა და ქვეყნის დემილიტარიზაცია წარმოადგენს. სამხედრო მოქმედებების გაგრძელების შედეგად რუსეთმა ვერ დაიკავა დედაქალაქი კიევი, რაც ფაქტობრივად ომის დასრულებასა და რუსეთის სტრატეგიულ გამარჯვებას მოიტანდა. ეს იყო პირველი მანიშნებელი იმისა, რომ რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები არ არის ისეთი ძლიერი, როგორც ამას კრემლი ამტკიცებდა. რუსეთის ტაქტიკური მარცხი კიდევ ერთხელ დამტკიცდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა ანექსირებული ხერსონი დატოვეს. რუსეთის პოზიციიდან თუ გავაანალიზებთ ამ მოცემულობას მაშინ გამოდის,

რომ რუსეთმა საკუთარი ტერიტორიის ნაწილი დათმო, ვინაიდან კრემლი მას არა როგორც ანექსირებულს, არამედ რეფერენდუმის საფუძველზე ინტეგრირებულს განიხილავდა, სხვა საკითხია თუ რამდენად ლეგიტიმური და სამართლებრივი იყო ეს რეფერენდუმი.

თვალსაჩინო ხდება თუ რამდენად ნეგატიურ გავლენას ახდენს უკრაინის ომი რუსეთის იმიჯზე როგორც რეგიონში, ისე საერთაშორისო დონეზე. თუ დასავლეთის მტკიცე მხარდაჭერა უკრაინისადმი და რუსეთის ტაქტიკური მარცხი უკრაინაში გაგრძელდება, მოსალოდნელია, რომ რუსეთის, როგორც გლობალური მოთამაშის როლი კიდევ უფრო შემცირდეს, რაც გამოიწვევს მოსკოვის გავლენის ბერკეტების დაკარგვასა და შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს. ქვეყნის შიგნით პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მასშტაბების გაზრდას შესაძლოა მმართველი ელიტის შიდა კონტროლის მექანიზმების დაკარგვა მოყვეს, რაც ფედერაცია შეიძლება კოლაფსამდეც კი მიიყვანოს.

ევროპასთან და აშშ-სთან პოლიტიკური დიალოგის დაწყება ერთადერთი გამოსავალი შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთისთვის საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოლაპარაკებების დასაწყებად დღეს დასავლეთი აუცილებელ პირობას უკრაინიდან რუსეთის ჯარების გაყვანას ასახელებს, ხოლო უკრაინა - რუსეთის ბირთვული იარაღის დათმობას. ყოველშემთხვევაში, არსებული რეალობიდან გამომდინარე რუსეთის სამხედრო წარმატება უკრაინაში ნაკლებად შესაძლებელია და მოსკოვს ადრე თუ გვიან გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწევს.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის კონფლიქტის დასასრული ჯერჯერობით არაპროგნოზირებადია, რასაც ევროპული ქვეყნების ლიდერების და ნატოს გენერალური მდივნის განცხადებებიც მოწმობს, ალბათობა იმისა, რომ უკრაინა სამხედრო წარმატებას მიაღწევს ომში საკმაოდ მაღალია. ამაზე არაერთი ფაქტორი მეტყველებს, მათ შორის, უკრაინის გამძლეობა, დასავლეთის სამხედრო ეკონომიკური მხარდაჭერა, რუსეთის ტაქტიკური მარცხი და ოკუპირებული ტერიტორიებიდან გასვლა, უკრაინის საპასუხო სამხედრო მოქმედებები უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე და სხვა.

აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ ომის შეჩერება არცერთ მხარეს არაწყობს, პირველ რიგში უკრაინას რადგან ამ სახელმწიფოს გარკვეული ტერიტორია ოკუპირებულია, უკრაინის მიზანია გაანთავისუფლოს მტრისგან თავისი ტერიტორიები. ომის შეჩერება არც რუსეთს აწყობს, რადგან მისი სამარცხვინოდ უკრაინიდან გასვლა გამოიწვევს პოლიტიკურ კრიზის, უნდა ვივარაუდოთ ხელისუფლების შეცვლა, რაც სავარაუდოთ უმტკივნეულოდ არმოხდება, რეგიონები რომლებსაც თავიანთი ჯარი ყავთ დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ. ვფიქრობთ ვ.პუტინის გადადგომის შემდგომ რუსეთი სამოქალაქო ომში ჩაეშვება. რაც შეეხება ევროპას უნდა ავღნიშნოთ რომ მათაც არსურთ ომის შეჩერება რადგან უკრაინაში წყდება მათი ბედი. ევროპის დახმარება უკრაინისადმი და უკრაინის გამარჯვებამდე მიყვანა მათი სტრატეგიული გეგმაა. უპირველეს ყოვლისა დასავლეთი იშორებს არცთუ ისე ახალ თუ ძველ სამხედრო ტექნიკას, რომელებიც საკმაოდ ძვირადღირებულია. ასე რომ გამარჯვებული უკრაინა დასავლეთისთვის მაინც წაგებულის როლში იქნება, ერთის მხრივ მრავალმილიარდიანი ვალი რომელიც გახდის უკრაინას მათზე დამოკიდებულს, მეორეს მხრივ, დამარცხებულ რუსეთთან მოლაპარაკება ადვილი იქნება, რუსეთი იძულებული გახდება დაემორჩილოს დასავლეთის კარნახს, რომლის მთავარი მიზანია რუსეთს ენერგორესურსები და წიაღისეულები. სწორედ ზემოთ მოხსენებული მიზნები ამოძრავებთ მხარეებს ამ გეოპოლიტიკურ ბრძოლაში.

დასკვნა. უნდა დავასკვნათ რომ დასავლური მკვლევარები თავიანთ ნაშრომებში აფასებენ უკრაინის გეოპოლიტიკურ პოზიციებს და აღნიშნავენ რომ მას ენიჭება მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი, მაგრამ ამავდროულად მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის რომ უკრაინა არასტაბილური, ცივილიზაციურად განხეთქილებად სივრცედ განიხილება, მათ ნაშრომებში ხშირად უკრაინა არ განიხილება როგორც დამოუკიდებელ გეოპოლიტიკური ერთეული, რომელსაც აქვს საკუთარი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე.

დღეს უკრაინელი ერი მედგრად იცავს თავის დამოუკიდებლობას, დიდი წინააღმდეგობის შედეგად შეჩერებული იქნა რუსეთის შეიარაღებული ძალების წინსვლა, გაბედულმა სამხედრო ტაქტიკამ უკრაინის სამხედრო ხელისუფლებას მისცა კონტრშეტევაზე გადასვლის შესაძლებლობა. უკრაინის გამარჯვება დააოკებს აგრეთვე რუსეთის ამბიციებს საქართველოსადმი, ვიმედოვნებთ, რომ ომის დასრულებისას დამყარდება ახალი მსოფლიო წესრიგი და თავისუფლება მოყვარული უკრაინელი ერი ხელახლა შეუდგება ახალი უკრაინის მშენებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რუსეთის რევიზიონისტული ხედვა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ: კრიზისის მიზეზები და კრემლის მიზნები, ანა ჩიტალაძე, https://di.gov.ge/publications/analytical-collection/rusethis-revizionistuli-khedva-evropis-usafrthkhoebis-arqiteqturis-shesakheb-krizisis-mizezebi-da-kremlis-miznebi/
2. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება, კახა გოგოლაშვილი, https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian-2651.pdf
3. “Russia’s invasion of Ukraine”. The Economist.
4. აშშ-რუსეთის ურთიერთობები და უკრაინის საკითხი, გიორგი ბილანიშვილი, https://gfsis.org.ge/ge/blog/view/1367
5. მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის და რუსეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გავლენის შედარებითი ანალიზი, ნიკა ჩიტაძე,
6. https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/111-expert-opinion-geo.pdf
7. Russia’s National Security Concept, arms control today,
8. https://www.armscontrol.org/act/2000-01/features/russias-national-security-concept
9. მსოფლიო წესრიგი, ჰენრი კისინჯერი, 2020.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის (რუსეთის) ინტერესები და ბრძოლა უკრაინის გეოპოლიტიკური სივრცისთვის. რუსეთ-უკრაინის ომი ბევრ სადაო საკითხს გადაწყვეტს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, ჩვენს თვალწინ ახალი გეოპოლიტიკური ერა იწყება სასწორის პინებზე დევს დემოკრატია და ავტორიტარიზმი, თავისუფლება და ტყვეობა, ღირსება და უთავმოყვარეობა, ანარქია და სამოქალაქო წესრიგი, როგორც მოდელი, ცხოვრების წესი უპირისპირდება ერთმანეთს. მსოფლიო რესტარტის პროცესშია. ჩვენს თვალწინ აღდგა თითქმის ყველა ის ცნება და შინაარსი, რომლის გამოც მოგვწონს დასავლეთი - თავისუფალი, მტკიცე, სამართლიანი და სოლიდარული.

EAST AND WEST STRUGGLE FOR THE GEOPOLITICAL SPACE OF UKRAINE

Summary

Marina Izoria
Doctor of Social Sciences

The article discusses the interests of the West and the East (Russia) and the struggle for the geopolitical space of Ukraine. The Russia-Ukraine war will solve many controversial issues in the theory of international relations, a new geopolitical era is beginning before our eyes. Democracy and authoritarianism, freedom and captivity, dignity and selflessness, anarchy and civil order, as a model, a way of life, are on the scales. The world is in the process of restarting. Before our eyes, almost all the concepts and content that we like the West - free, firm, fair and solidary - have been resurrected.

კორონავირუსის პანდემიის გავლენა B2B ბაზარზე

მაია ჩეჩელაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ბექაური გიორგი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: B2B ბაზარი, B2C ბაზარი, მიწოდების ჯაჭვი, პანდემია, ლოჯისტიკური კოლაფსი.

კოვიდ 19 გავრცელების კვალდაკვალ შეიზღუდა მგზავრთა გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში. მას შემდეგ, რაც შეზღუდვები დაწესდა საერთაშორისო ფრენებზე, აშკარა გახდა, რომ საჰაერო გადაზიდვები უკვე არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. რადგან საერთაშორისო საჰაერო გადამზიდავები იყენებდნენ მოდელს, რომლის დროსაც მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა თანადროულად, ერთი და იგივე საჰაერო ხომალდით ხდებოდა. ICAO (საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია) მონაცემების მიხედვით 2020 წლის აპრილში მგზავრების საჰაერო გადაყვანა თითქმის ნულს გაუტოლდა. მართალია, 2020 წლის ოქტომბრის თვეში ფრენები წინა წლის იგივე პერიოდის თითქმის 20%-მდე გაიზარდა, მაგრამ ეს მაინც ძალიან მცირეა. სწორედ ამიტომ ყველაზე მეტად პანდემიამ საჰაერო გადაზიდვები დააზარალა.

პანდემიამ საგრძნობი გავლენა იქონია როგორც საზღვაო, ასევე სარკინიგზო გზებით საკონტეინერო გადაზიდვების ღირებულებაზე. ევროპაში იმპორტისთვის განკუთვნილ კონტეინერების დროული დაცლა ვერ ხერხდებოდა გადატვირთული რეჟიმით გამოწვეული დიდი საცობების გამო. იზრდებოდა განბაჟების (ტვირთის გაფორმების) დრო, რაც გახდა საქონლის გადასაზიდად საჭირო კონტეინერების რაოდენობის შემცირების მიზეზი.

შესაბამისად ამ ურთულესმა ლოჯისტიკურმა კოლაფსმა კრიზისი გაამწვავა. კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ უდიდესი ზიანი მიაყენა საერთაშორისო ვაჭრობას და ეკონომიკას, რადგან აიკრძალა ქვეყნებს შორის თავისუფლად გადაადგილება და საქონლის მიწოდების ჯაჭვები ხშირ შემთხვევაში ჩამოიშალა. რაღა თქმა უნდა B2B ბაზრის მონაწილეებს მოუწიათ რესტუქტურიზაცია. რადგან, პანდემიამდე მათი დიდი ნაწილი ირჩევდა გზას, როდესაც საქონლის შესყიდვა მათ შორის უშუალო, ფიზიკური კავშირის შემდეგ ხდებოდა. პანდემიამ კი ეს შესაძლებლობები გააქრო. ამიტომ B2B ბაზრის მონაწილეები მიჰყვნენ B2C ბაზრის გამოცდილებას და მათ კვალდაკვალ ჩამოაყალიბეს ელექტრონული ვაჭრობა. [1] თუმცა B2B ბაზარზე საქონლის შესყიდვის ციკლი საგრძნობლად გაიზარდა. რაც რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ერთის მხრივ ბიზნეს ოპერატორებს მოუწიათ საქონლის შესყიდვისათვის მათთვის უცხო გზა გამოეყენებინათ, რაც დროს მოითხოვდა. ამიტომ გაიზარდა დრო რომელიც აუცილებელია საქონლის გამყიდველის მოსაძიებლად.[2] სოციალური ქსელები იძლევიან საშუალებას ჩვენი ინტერესის ქვეშ მყოფი ფირმა კარგად შევისწავლოთ, გაზრდილი ინფორმაციის ნაკადი

1 Pierre DeBois | How Ecommerce Influences B2B Analytics , Jun 3, 2021 (https://www.cmswire.com/digital-marketing/how-ecommerce-influences-b2b-analytics/)
2 Nicole Mertes 6 OF THE BEST FINDINGS FROM THE 2020 B2B BUYER BEHAVIOR STUDY, AUGUST 31, 2020 (HTTPS://WWW.WEIDERT.COM/BLOG/B2B-BUYERS-SURVEY-TAKEAWAYS)

და მისი კვლევა თავის მხრივ დიდ დროს მოითხოვს. მეორეს მხრივ, საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესში დიდ რაოდენობით ადამიანები ჩართეს კომპანიებმა, შესაბამისად მეტი ადამიანის ჩართულობა ინფორმაციის მოცულობას უფრო ზრდის და შესყიდვის პროცესს საგრძნობლად ახანგრძლივებს.

ზოგადად კორონავირუსის პანდემიამ B2B კომპანიების შესყიდვის წესი სრულებით შეცვალა და ის უფრო ციფრული ტრანსფორმაციისაკენ წაიყვანა. McKinsey & Company მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით B2B ბაზარზე მყიდველთა 75%-ზე მეტი ამბობს, რომ ონლაინ რესურსებით საქონლის შესყიდვა ურჩევნიათ ტრადიციული მეთოდით საქონლის შესყიდვას. ეს განცდა განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი ლოქდაუნის დროს. გამოკითხულთა მხოლოდ 20% ამბობს, რომ მათთვის ხელსაყრელი ძველი მეთოდი უფროა. ამავე კვლევის მიხედვით შემსყიდველები უფრო მეტ თანხას ხარჯავენ საქონლის ონლაინ გზით შესყიდვის დროს. მითუმეტეს B2B ბაზრის ის მონაწილეებიც კი, რომლებიც აქამდე არ ზრუნავდნენ საქონლის გაყიდვის ელექტრონული მოდულის შექმნაზე, კარგა ხანია ამ საკითხზე დაფიქრდნენ. ელექტრონული შესყიდვების რაოდენობა სწრაფად იზრდება, ამიტომ არის ვარაუდი რომ 2027 წლისათვის B2B ბაზარზე შესყიდვები გაასწრებს B2C ბაზარზე შესყიდვების მოცულობას.[1]

ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც ჩამოყალიბდა B2B ბაზარზე მოითხოვს რამდენიმე მკაცრ გადაწყვეტილებას, რათა კომპანიამ გადარჩენა შეძლოს. პირველი, აუცილებელი გახდა მომხმარებლების ახლიდან მოძებნა, რადგან ძველი, ისტორიული მომხმარებლები აღარ არიან რელევანტურები. მეორე, მოწოდების ბაზრების და არხების რესტრუქტურიზაცია გარდაუვალია. კოვიდ პანდემიის დაწყებამდე Omobono სააგენტოს მიერ ჩატარდა კვლევა. კვლევის პირველი ნაწილი აჩვენებს, რომ მარკეტინგის როლი B2B ბაზრისათვის მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო ღრმად თუ შევისწავლით, იკვეთება ტენდენცია, რომ დიდი ბიზნესების მარკეტინგული გავლენები მცირდება. რაც ერთის მხრივ ელექტრონული ვაჭრობის გაზრდის შედეგია, ხოლო მეორეს მხრივ ეს კომპანიები მრავალწლიან კავშირებს ფლობენ მათ კლიენტებთან, შესაბამისად B2B ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის დამატებითი ხარჯების გაღება აღარ სჭირდებათ. [2]

თუმცა კორონავირუსის პანდემია იყო მოულოდნელი სიტუაცია, რომელმაც ახალი თავსატეხი გაუჩინა ინვესტორებს. გამოიკვეთა ხუთი ძირითადი შეკითხვა რომელზეც კომპანიებს უნდა გაეცათ პასუხი[3], რაც შეიძლება სწრაფად:

- როგორ პასუხობს კრიზისებს ხალხი იმ ქვეყანაში სადაც თქვენ ფუნქციონირებთ?
- ახალ გარემო პირობებში რა ჩვევები გამოვალინეს მომხმარებლებმა და როგორ აღიქვამენ ისინი ამჟამად თქვენს ბრენდს?
- შეიძლება კი ჩემმა მარკეტინგულმა კონცეფციამ უპასუხოს კრიზისულ გამოწვევებს?
- რას ფიქრობენ თქვენი თანამშრომლები?
- გრძელვადიან პერიოდში, როგორ იმოქმედებს თქვენს ბრენდზე აღნიშნული კრიზისი?

ამ კითხვებზე პასუხი ბაზრის კვლევას და რიგი დასკვნების გაკეთებას მოითხოვდა. ვინაიდან მარკეტინგული კვლევები დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, კითხვის

1. Forrester (2019, January 28). US B2B eCommerce Will Hit $1.8 Trillion By 2023. Forrester

2 Morag Cuddeford-Jones Why marketers lose influence as B2B brands grow 5 Jul 2018

3 Nigel Hollis-Market research is more important than ever in the age of COVID-19, 08 April 2020 (https://www.kantar.com/inspiration/coronavirus/market-research-is-more-important-than-ever-in-the-age-of-covid-19)

ნიშნის ქვეშ დადგა მარკეტინგული კვლევის ჩამტარებელი ფირმების მომსახურების აუცილებლობა. მთავარი კითხვა, რომელიც გამოიკვეთა აღმასრულებელი დირექტორების წინაში შემდეგნაირად ჟღერს: „გვჭირდება კი დღეს ძვირადღირებული კონსალტინგური კომპანია, რომელიც ინტერვიუს ჩამოართმევს ჩვენს გაყიდვების მენეჯერებს, თუ საკუთარი ძალებითაც შესაძლებელია ამ გამოწვევის გადალახვა?“

აზრი ორად გაიყო, ერთი მიიჩნევდნენ, რომ კომპანიის გაყიდვების ჯგუფი იყო ინფორმაციის ძირითადი წყარო, რომელსაც დირექტორები უნდა დაყრდნობოდნენ. რადგან ისინი არიან ადამიანთა ჯგუფი, რომლებმაც წლების განმავლობაში არაერთი გამოწვევა გადალახეს და დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვილი. მთავარი სიმართლე არის ის რომ თქვენი გაყიდვების მენეჯერებს ოქროს აზრები აქვთ თავში. მთავარია თქვენ იპოვოთ გზა, ინფორმაციის მოპოვების, ანალიზის და უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად. [1]თუმცა რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. B2B კვლევის შედეგებით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობა 39%-ით, ხოლო სესიების რაოდენობა 52%-ით. ბაზრის კვლევაში მონაწილეთა რაოდენობაც ერთი-ორად გაიზარდა.

დასკვნა

კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი ყველასათვის პრობლემურ საკითხად იქცა. შესაბამისად ყველა ორგანიზაცია ცდილობს შეიმუშაოს საუკეთესო გზას მისგან თავის დასაღწევად - რაც ნიშნავს რომ შეცდომები შესაძლოა დაშვებულ იქნეს. მკვლევართათვის კვლევის დამკვეთთა მიზნების მიღწევა უფრო გართულდა ვიდრე ჩვეულებრივ სიტუაციაში იყო. რესპონდენტების პასუხები შესაძლოა არც ისე ეფექტური იყოს როგორადაც მიგვაჩნია. თანამედროვე ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადეს კვლევის დისტანციურ რეჟიმში ჩატარება. რასაც დადებითი როლის გარდა უარყოფითი გავლენაც ჰქონდა კვლევის მიმდინარეობასა და შედეგებზე. რადგან თუ ბაზრის შემსწავლელი ფირმები ატარებენ ონლაინ გამოკითხვას, სიღრმისეულ ინტერვიუებს ანფოკუს ჯგუფების გამოკითხვას, კრიზისული პერიოდის განმავლობაში ოპტიმალური ცოდნის მიღებას დამატებითი დაგეგმვა სჭირდება. მკვლევრებმა უნდა სცადონ შეხედონ სიტუაციას მონაწილის თვალსაზრისით, დამატებითი ზრუნვით უნდა უზრუნველყონ კითხვების ემპათიური ფორმულირება.

კრიზისულ პერიოდში ჩამოყალიბა B2B ბაზრის კვლევის ჩატარების სხვადასხვა მეთოდი და წესი. მათი უდიდესი ნაწილი დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა და პანდემიის დასრულების შემდეგაც აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები კვლევების ჩასატარებლად. ასევე სავარაუდოა, რომ აღნიშნული ტრენდი დიდხანს შენარჩუნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pierre DeBois | How Ecommerce Influences B2B Analytics, Jun 3, 2021. Available at: https://www.cmswire.com/digital-marketing/how-ecommerce-influences-b2b-analytics/
2. Nicole Mertes, 6 OF THE BEST FINDINGS FROM THE 2020 B2B BUYER BEHAVIOR STUDY, AUGUST 31, 2020. Available at: https://www.weidert.com/blog/b2b-buyers-sur-

1 Redefining B2B Selling in the Post-Covid World. Available at: https://www.vantagepointperformance.com/redefining-b2b-selling-in-the-post-covid-world/

vey-takeaways)
3. Forrester (2019, January 28). US B2B eCommerce Will Hit $1.8 Trillion By 2023. Forrester
4. Morag Cuddeford-Jones Why marketers lose influence as B2B brands grow 5 Jul 2018
5. Nigel Hollis-Market research is more important than ever in the age of COVID-19, 08 April 2020 (https://www.kantar.com/inspiration/coronavirus/market-research-is-more-important-than-ever-in-the-age-of-covid-19)
6. Redefining B2B Selling in the Post-Covid World. Available at: https://www.vantagepointperformance.com/redefining-b2b-selling-in-the-post-covid-world/
7. ბექაური გ., „საბაჟო კანონმდებლობის ცვლილება COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის კვალდაკვალ". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თემაზე „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები", თბილისი, 2021 წელი. გვ. 17-21.
8. McKinsey & Company, Marketing & Sales Practice These eight charts show how COVID-19 has changed B2B sales forever, October 2020.

რეზიუმე

თანამედროვე ბიზნეს საქმიანობის მიზანი საქონლის და მომსახურების სწრაფი და რაც შეიძლება მომგებიანი გზით მომხმარებლისთვის მიწოდებაა. სწორედ ამ მიზნით კომპანიები სხვადასხვა სახის მარკეტინგულ გეგმებს ადგენენ და ცდილობენ რაც შეიცლება ეფექტური ნაბიჯები გადადგან წარმატების მისაღწევად. რისთვისაც აუცილებელია ბაზრის სწორი კვლევა. რიგი ავტორები და მკვლევრები არ ახდენენ B2B და B2C ბაზრების ერთმანეთისგან გამიჯვნას. ისინი ბაზარს როგორც ერთ მთლიანს აღიქვამენ. თუმცა, ჩვენი აზრით, აუცილებელია მისი დაყოფა. რადგან ისინი თავისი არსით, მონაწილეთა რაოდენობით და მახასიათებლებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

საქართველოში B2B ბაზარი მყიდველთა და გამყიდველთა რაოდენობის სიმცირის გამო ნაკლებად განვითარებულია. ჩვენს ქვეყანაში ბიზნეს ოპერატორები უმეტეს წილად ორივე ბაზარზე ფუნქციონირებენ. თუმცა, თუკი ჩვენ თვალს გავუსწორებთ იმ რეალობას, რომ გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია ქართული პროდუქციის მსოფლიოს ბაზარზე პოზიციონირება დავინახავთ ამ ბაზრის ტიპის კვლევის მნიშვნელობას.

სტატიაში განხილულია კოვიდ -19 პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს. ეჭვგარეშეა, რომ ბიზნეს ოპერატორებს მოუწიათ დიდი გამოწვევების გადალახვა და ალბათ უფრო დიდი ქარტეხილები წინაა, რადგან მსოფლიო პანდემიის დასრულების შემდგომ, მსოფლიო რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირებამ და ომით გამოწვეულმა კრიზისმა მოიცვა.

IMPACT OF THE CORONAVIRUS PANDEMIC ON THE B2B MARKET

Maia Chechelashvili,
Doctor of Economics (Ph. D.),
Associate Professor of Georgian Technical University
Doctor of Economics,
Giorgi Bekauri,
The Doctoral Student of Georgian Technical University

ABSTRACT

The goal of modern business activity is to deliver goods to customers as quickly as possible. Proper market research is necessary to make it successful. Several authors and studies do not separate the origins of B2B and B2C markets. They perceive the market. However, according to our opinion, it should be divided. Because they are different in their essence.

The B2B market in Georgia is relatively less exposed. Business operators of the country are functioning in a small market.

The article discusses the changes caused by the Covid-19 pandemic. Business operators have had to overcome great challenges, and perhaps even greater challenges lie ahead. Despite the end of the global pandemic, there is new defiance. Because of the start of the Russian and Ukrainian military conflict.

Keywords: B2B market, B2C market, supply chain, pandemic, logistics collapse.

БЛИЖНИЙ ВОСТОК В ГЕОПОЛИТИКЕ СТРАН И СИРИЙСКИЙ ВОПРОС

Гурам Мархулия
Доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета (Грузия)

Кардинальные изменения в системе глобальных международных отношений на рубеже XX и XXI веков, вызванные крушением биполярной структуры пространственно-силовых отношений, оказали существенное влияние на характер кризисных процессов в отдельных регионах, привели к нарушению сложившегося к концу 80-х годов регионального баланса сил, потребовали выработки новых подходов к обеспечению национальной безопасности государств.

Великие державы не только использовали конфликтный потенциал Ближнего Востока в своих глобальных интересах, но и пытались добиться урегулирования арабо-израильского конфликта. Вместе с тем попытки добиться решения той или иной ближневосточной проблемы со стороны США наталкивались на сопротивление СССР и наоборот. С одной стороны, кардинальные геополитические изменения глобального характера, вызванные распадом мировой системы социализма и развалом советской сверхдержавы, привели к образованию геополитического вакуума в ближневосточной зоне бывшего советского геополитического пространства. С другой стороны, США при всем желании не удалось полностью установить свою гегемонию в регионе., в сложившейся ситуации можно прогнозировать с большой долей вероятности столкновение в ближневосточном регионе интересов различных субъектов формирующегося многополярного мира.

Череда революционных событий в регионе во втором десятилетии XXI века, началом которых принято считать так называемую «жасминовую революцию» 2010 г. в Тунисе и получивших впоследствии название «арабской весны», не только привела к переменам на геополитической карте региона, но и обнажила глубинную структуру сложнейших проблем международных отношений. Волна народных протестов, охватившая почти все ближневосточные государства, стала неожиданной для основных игроков на международной арене и вынудила их приспосабливаться к сложившейся обстановке.

Геополитическое пространство Сирии всегда привлекало к себе большое внимание, так как Дамаск является колыбелью практически всех мировых религий и цивилизаций. Ее геополитическое положение на Ближнем Востоке имеет огромное значение не только в региональном смысле а и в планетарном. США и Советская Россия(СССР) более 70 лет соперничают за влияние на эту страну, исходя из своих экономических интересов. В 1967 году Сирия разорвала дипломатические отношения с Соединенными Штатами после арабо-израильской войны. Отношения были восстановлены в 1974 году. В 1979 году Сирия была внесена в американский список государств-спонсоров терроризма, в этом же году в её адрес были применены экономические санкции.

В 1990-2001 годах США и Сирия сотрудничали в решении некоторых региональных вопросов, но в 2003 году отношения вновь ухудшились. Вопросы по Сирии, вызывающие озабоченность у правительства США: отказ сирийского правительства бороться с иностранными боевиками, которые используют Сирию в качестве транзитной базы по пути в Ирак; отказ сирийцев депортировать из страны соратников бывшего режима Саддама Хуссейна ; вмешательство сирийцев в дела Ливана; поддержка палестинських боевиков; ситуация с правами человека; стремление заполучить оружие массового уничтожения.

В 2004 году Сирия стала предметом экономических санкций со стороны США, большинство американских продуктов запрещено экспортировать в эту страну. В августе 2008 года были введены новые санкции, согласно которым американские компании не могли больше участвовать в добыче сирийской нефти. В апреле 2011 года правительство США ввело дополнительные санкции против лиц, замешанных в нарушениях прав человека и поддержке режима Асада.

В начале 2009 года США начали пересматривать свою политику в отношении Сирии в свете изменений в стране и регионе, что привело к тому, что обе страны вновь начали сотрудничать в решении региональных вопросов.

В марте 2011 года группа сирийских студентов были арестованы в городе Деръа за написание политических граффити на стенах домов, после этого в городе начались акции протеста. Сирийское правительство неадекватно отреагировало на демонстрации, применив силу к протестующим, в результате чего по всей стране начали вспыхивать восстания, которые со временем переросли в полномасштабную гражданскую войну. Правительство США неоднократно призывало президента Башара аль-Асада уйти в отставку и дать возможность сформировать переходное правительство. Жесткие санкции США в отношении сирийского режима осуществляются в координации со странами Европы, Азии и арабского мира.

Начало массовых протестов в Сирии весной 2011 г. было использовано турецким истеблишментом для увеличения влияния на сирийскую политику. Анкара попыталась легализовать в этой стране своих политических союзников — движение «Братья-мусульмане» и ввести их в сирийское правительство. С этой целью в первые месяцы сирийского кризиса турки пытались позиционировать себя в качестве посредников между правительством Асада и оппозицией. Турецкий министр иностранных дел А. Давутоглу в марте-апреле 2011 г. посещал Сирию, предлагая содействие в процессе национального примирения в Сирии. Примечательно, что в первое полугодие кризиса не было зафиксировано оппозиционных выступлений в сирийских городах, прилегающих к турецкой границе. В то же время по мере понимания того, что Асад не собирается идти на уступки, подходы Турции к сирийскому конфликту менялись. Премьер-министр Турции Реджеп Тайип Эрдоган заявил в июне 2011 г. о том, что «ужасы, творящиеся в Сирии, не имеют оправдания» и призвал Б. Асада отправить в отставку своего брата Махера, командующего Республиканской гвардией. В июле 2011 г. в городе Джиср эш-Шугур, прилегающем к турецкой границе, произошел мятеж, в результате которого погибли 120 сирийских силовиков.

Дальнейший ход событий хорошо известен. Турция стала одним из основных спонсоров как гражданской сирийской оппозиции, так и вооруженных формирований Сирийской свободной армии. . Освещение связей Анкары с исламскими радикалами и террористами не входит в задачу данной статьи.

Разрастание сирийского конфликта вызвало усиление в северных провинциях Сирии курдского фактора. Под контролем курдской Партии демократического союза, тесно связанной с запрещенной в Турции Рабочей партией Курдистана, оказались значительные районы на севере Сирии. При этом в Анкаре усиливаются опасения, что в случае победы над «Исламским государством» курдские районы Сирий станут базой для сепаратистов, оперирующих в самой Турции. Это заставляет нынешнее турецкое руководство все глубже увязнуть в сирийском конфликте и продолжать поддержку экстремистских организаций.

февраля 2016 г. визит к сирийским курдам нанес посланник возглавляемой США коалиции Бретт Мак Гурк, посетивший именно город Кобани, оборонявшийся курдами от террористов в течение шести месяцев. Поездка американского дипломата на территории,

контролируемые сирийскими курдами, вызвала очередную вспышку гнева турецкого президента Реджепа Тайипа Эрдогана, который призвал Вашингтон выбрать в качестве партнера либо Турцию, либо «террористов из Кобани». «Как мы можем доверять вам? Кто является вашим партнером — я или террористы из Кобани?» — заявил турецкий лидер.

Рассматривая геополитический фактор в сирийском конфликте, можно сделать ряд выводов, касающихся не только истоков сирийского противостояния, но и его возможного дальнейшего развития. Во-первых, сирийский конфликт давно перестал быть внутренней гражданской войной, но носит международный характер. В сирийском конфликте присутствуют противоположные интересы нескольких великих и региональных держав — США, России, Турции, Ирана, Саудовской Аравии. Противоборство интересов внешних акторов существенно затрудняет сирийские мирные переговоры и затягивает решение конфликта.

Во-вторых, большую роль в конфликте приобрело ирано-саудовское соперничество за гегемонию на Ближнем Востоке. Интересы Ирана заключаются в выстраивании оси Тегеран-Багдад-Дамаск-движение «Хизбалла», позволяющей оказывать влияние на страны арабского мира и присутствовать в регионе Восточного Средиземноморья. В то же время Саудовская Аравия, позиционирующая себя в качестве лидера арабского мира, опасается оказаться во «враждебном иранском окружении». Под ним подразумеваются шиитское правительство в Багдаде, сторонники Башара Асада в Сирии, движение «Хизбалла» в Ливане, повстанцы-шииты (хоуситы) в Йемене. В краткосрочной и среднесрочной перспективе не про- сматривается примирение интересов Ирана и курдов в регионе, а значит конфликты между ними в Сирии, Ливане, Ираке и Йемене не получат разрешения.

В-третьих, сирийский конфликт вызвал появление на Ближнем Востоке новых акторов, преследующих свои интересы. К ним, прежде всего, относятся сирийские курды, связанные с турецкой Рабочей партией Курдистана. Активизация курдского фактора вызывает крайнее беспокойство Анкары и провоцирует поддержку правительством Эрдогана экстремистских и террористических организаций в Сирии, рассматривающихся в качестве противовеса курдской экспансии. Кроме того, в ходе развития сирийского конфликта выявились существенные расхождения между США и Турцией, стратегическое партнерство которых еще недавно считалось незыблемым. Американцы начали поддержку сирийских курдов, которых Анкара считает продолжением «террористической» рабочей партией курдистана.

В-четвертых, разнонаправленная деятельность различных акторов в Сирии создает реальную угрозу распада этой страны. Турция приобрела большое влияние на радикальные исламистские группировки в районах Алеппо и Идлиба и рассматривает данные регионы в качестве своей сферы влияния. Бедуинские племена северо-востока Сирии в настоящее время находятся в сфере влияния террористической организации «Исламское государство» и даже в случае разгрома террористов будут сохранять более тесные связи с суннитами Ирака, чем с правительством в Дамаске. Прибрежные районы Сирии, населенные алавитами, столичный регион и регион Хомса, судя по всему, останутся под контролем правительства Асада. В немалой степени это вызвано тем, что Иран не допустит выхода из-под своего контроля коридора, соединяющего Сирию с Ливаном. Что касается южных регионов Сирии (Хауран), то здесь все более заметно саудовское и иорданское влияние. Такая расстановка сил создает реальную угрозу распада страны и прекращения существования Сирии в качестве полюса арабизма.

В интервью специалиста по энергетике Ближнего Востока Давида Амселлема французскому изданию Атлантико в марте 2015 года четко прослеживается причина сирийского конфликта в мировой войне за газ.

«У сирийского конфликта много сторон, и его не обходит экономическое противостояние ключевых игроков региона. А недавнее обнаружение крупных нефтегазовых месторождений разжигает притязания соседних государств. По данным опубликованного в 2010 году исследования Геологической службы США, в этом бассейне имеется 1,7 миллиарда баррелей нефти и почти 3,5 триллиона кубометров газа. В планетарных масштабах, речь идет всего лишь об 1% резервов, что намного меньше ресурсов таких стран как Иран (18,2%), Россия (16,8%) и Катар (13,3%). Тем не менее, они играют большую роль для средиземноморских государств, потому, что те могут таким образом добиться энергетической независимости или даже стать экспортерами энергоносителей.

В первую очередь это относится к Израилю. В двух его крупнейших месторождениях, Тамаре и Левиафане (их обнаружили соответственно в 2009 и 2010 годах), находится более 900 миллиардов кубометров газа. У берегов Кипра в свою очередь находится открытое в 2012 году месторождение «Афродита» с 200 миллиардами кубометров.

Израильские находки сразу же стали источником конфликта с соседним Ливаном, который оспаривает право на месторождения. Два этих государства до сих пор не подписали соглашения о морской границе и заявляют о своем праве на зону в 850 квадратных километров у их берегов. Ни одно из израильских месторождений не находится в этой зоне, однако в будущем там все же могут обнаружить ресурсы, что только обостряет соперничество двух стран. Кроме того, вокруг средиземноморского газа разгорелся и другой конфликт, между Кипром и Турцией. Анкара оспаривает исключительное право Республики Кипр на месторождение «Афродита» и требует разделить его с Турецкой Республикой Северного Кипра, которую пока что не признал никто кроме самой Турции. Как бы то ни было, месторождения не только плодят конфликты, но и способствуют формированию партнерских связей, например, между Израилем, Грецией и Кипром.

Существенная часть средиземноморских нефтегазовых ресурсов вполне может оказаться в исключительной зоне Сирии. Тем не менее, эти резервы не играют хоть сколько-нибудь значимой роли в сирийском конфликте, потому что ни одно месторождение до сих пор не было найдено и не разрабатывается. Пока все это еще «виртуальные вопросы».

В сирийском кризисе энергетику следует рассматривать в двух географических масштабах. Прежде всего, на уровне Сирии речь идет о стремлении участников конфликта взять под контроль комплексы нефтедобычи (они по большей части находятся на северо-востоке страны), чтобы извлечь для себя экономическую выгоду. На региональном уровне все связано в первую очередь с той ролью, которую может сыграть Сирия в транспортировке энергоносителей (это позволяет отчасти понять позиции соседних государств в нынешнем кризисе). Сирия граничит с Ираком и Турцией и обладает выходом к морю, что превращает ее в идеальный коридор для транзита ближневосточного газа в Европу. До начала сирийского кризиса Иран и Катар подумывали о прокладке газопровода для экспорта ресурсов с их общего гигантского месторождения Южный Парс. Катарский газопровод должен был пройти через союзные Саудовскую Аравию и Иорданию, а иранский — через Ирак. В конечном итоге Дамаск в 2011 году отдал предпочтение проекту Тегерана, чем остались крайне недовольны в Дохе. Это энергетическое противостояние отразилось на позициях по гражданской войне, так как Иран остался союзником Дамаска, а Катар начал финансировать настроенные против режима группировки мятежников.»

Вплоть до осени 2013 г. позиции «заливних» монархий по сирийскому вопросу вполне

совпадали с интересами США. Анализ этих подходов содержался в статье американского политолога Джорджа Фридмана «Сирия, Иран и баланс силы на Ближнем Востоке». Учитывая то, что возглавляемую Фридманом организацию STRATFOR часто называют «теневым ЦРУ» данная статья представляет собой не просто мнение эксперта. В ней выражалось опасение «массивного сдвига в балансе сил в регионе после вывода американских войск, в результате чего Иран превратится из маргинальной страны в сверхдержаву». Фридманом были проанализированы причины ирано-сирийского стратегического партнерства: «Иранский исламистский режим дал светскому сирийскому режиму иммунитет от шиитского фундаментализма в Ливане. Что еще важнее, он предоставил ему поддержку в его ливанских авантюрах и защиту от возможных протестов суннитского большинства в самой Сирии». В статье подчеркивается, что ирано-сирийский альянс приобрел долговременные, стабильные на обозримую перспективу очертания. Отсюда делается вывод о том, что в случае политического выживания Асада (статья была написана, когда протестные выступления в Сирии уже были в самом разгаре), Иран выиграет от этого больше всего. Фридман писал: «Если Ирак попадет под долговременное иранское влияние, а режим аль-Асада, изолированный от всего остального мира, но поддержанный Ираном, выживет, то это позволит Тегерану подмять под себя сферу влияния, простирающуюся от западного Афганистана до побережья Средиземного моря (через Сирию и владения «Хизбаллы»). Такая перспектива несет возможность развертывания иранских вооруженных сил в западном направлении и имеет далеко идущие последствия». По мнению Фридмана, в таком случае иранская сфера влияния будет затрагивать северные границы Саудовской Аравии и Иордании, а также южные рубежи Турции. Иранская способность привести в этот регион значительные силы особенно увеличивает риски для Саудовской Аравии. Из этого, по убеждению Фридмана, следует, что Соединенные Штаты, Саудовская Аравия, Турция и Израиль должны сделать все возможное для того, чтобы предотвратить такое развитие событий.

Российские же интересы четко прослеживаются в желании Москвы через Турцию связать Сирию с прокладкой газопровода в Европу. Вхождение Кремля в сирийский конфликт есть ничто — иное, как удержать этот регион под своим контролем. Этого же стремится и США, богатство сирийского пространства является причиной бед арабского мира и в частности населения этой страны.

Сегодня дипломатическая борьба стран за Сирию перманентно меняется военной, бомбежки оппозиционных сил авиацией, а так же мирных городов, никак не связаны в подавлении военных формирований ИГИЛ. Более того, стороны стремятся показать и доказать – кто в доме хозяин, а страдание народов Сирий геополитиков стран совершенно не волнуют.

Литература:

1. Александров А.И. Сирия: о военном и дипломатическом контексте подготовки к конференции «Женева-2». URL: http://www.iimes.ru/?p=19050 (дата обращения:16.04.2016).
2. Ахмедов В., Кулагина Л. Сирия и Иран в новой региональной обстановке на Ближнем Востоке. 3.
3. Batatu H. Syrian Peasantry. The Descendants of its lesser rural Notables and their politics. New Jersey: Princeton University Press, 1997.
4. Friedman G. Syria, Iran and the Balance of Power in the Middle East // STRATFOR review.

2011.
5.Goldberg J. The Obama doctrine. URL: http://www.theatlantic.com/magazine/archive/2016/04/the-obama-doctrine/471525/#7 (accessed: 28.07.2016).
10.Hourani A. A history of the Arab peoples. Cambridge, Mass.: Belknap Press of Harvard University Press, 1991.
6.Naba R. Le parti Baas. Monstres sacrees ou sacrees monsters ? Entre le Saladin babylonien et le Bismarck syrien, une detestation inexpiable. URL: http://www.renenaba.com/le-parti-baas (accessed: 28.06.2016).
Nouzille V. Dans le Secret des Presidents. Paris: Fayard, 2010.
7.Seale P. The struggle for Syria. A Study of post-war Arab politics. London: Tauris, 1987. Seale P. Asad. The struggle for the Middle East. Los Angeles: University of California Press,1997.
8..Tibi B. Arab Nationalism. A critical Enquiry. London: Macmillan, 1981. Zeine Z. The struggle for Arab independence. Beiruth: Khayat, 1960.

SUMMARY

THE MIDDLE EAST IN THE GEOPOLITICS OF COUNTRIES AND THE SYRIAN ISSUE

Guram Markhulia
Doctor of History, Associate Professor of Sukhumi State University (Georgia)

Cardinal changes in the system of global international relations at the turn of the 20th and 21st centuries, caused by the collapse of the bipolar structure of space-power relations, had a significant impact on the nature of crisis processes in individual regions, led to a disruption of the regional balance of power that had developed by the end of the 1980s, required the development new approaches to ensuring the national security of states.

The great powers not only used the conflict potential of the Middle East in their global interests, but also tried to achieve a settlement of the Arab-Israeli conflict. At the same time, attempts by the United States to achieve a solution to this or that Middle East problem ran into resistance from the USSR and vice versa. On the one hand, cardinal geopolitical changes of a global nature, caused by the collapse of the world system of socialism and the collapse of the Soviet superpower, led to the formation of a geopolitical vacuum in the Middle East zone of the former Soviet geopolitical space. On the other hand, the United States, with all its desire, failed to fully establish its hegemony in the region. In the current situation, it is possible to predict with a high degree of probability a clash of interests in the Middle East region of various subjects of the emerging multipolar world.

A series of revolutionary events in the region in the second decade of the 21st century, the beginning of which is considered to be the so-called "Jasmine Revolution" of 2010 in Tunisia and later called the "Arab Spring", not only led to changes on the geopolitical map of the region, but also exposed the deep structure the most complex problems of international relations. The wave of popular protests that swept almost all the Middle Eastern states came as a surprise to the main players in the international arena and forced them to adapt to the current situation.

The Syrian conflict has caused the emergence of new actors in the Middle East pursuing their own interests. These primarily include Syrian Kurds associated with the Turkish PKK. The

activation of the Kurdish factor causes extreme anxiety in Ankara and provokes the support of the Erdogan government for extremist and terrorist organizations in Syria, which are considered as a counterbalance to the Kurdish expansion. In addition, the development of the Syrian conflict revealed significant differences between the United States and Turkey, whose strategic partnership until recently was considered unshakable. The Americans have begun supporting the Syrian Kurds, whom Ankara considers a continuation of the «terrorist» Kurdistan Workers' Party.

The Syrian conflict has many sides, and it is not bypassed by the economic confrontation of the key players in the region. And the recent discovery of large oil and gas fields inflames the claims of neighboring states.

Russian interests are clearly seen in Moscow's desire to link Syria through Turkey with the construction of a gas pipeline to Europe. The Kremlin's entry into the Syrian conflict is nothing more than to keep this region under its control. The United States is also striving for the same, the wealth of the Syrian space is the cause of the troubles of the Arab world and, in particular, the population of this country.

Today, the diplomatic struggle of countries for Syria is constantly changing military, the bombing of opposition forces by aircraft, as well as peaceful cities, is in no way connected with the suppression of ISIS military formations. Moreover, the parties seek to show and prove who is the boss in the house, and the geopoliticians of the countries do not care about the suffering of the peoples of Syria.

საქართველოს
ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
გიღოცავთ დამდეგ 2023 წელს